პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 20 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

1932 18 მაისი ‖ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი ‖ № 12

ისტორიული დადგენილება

სოციალიზმის გაშლილი შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელი ფრონტის გასწვრივ, უშუალოდ მოითხოვს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გადახალისებას. ახალი წესით მუშაობის გარეშე შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანათა განხორციელება და მის გადაჭრისათვის მილიონთა მობილიზაცია. ახალს პირობებში ახალი წესით მუშაობის ამოცანები მთელი სიმძაფრითაა დასმული და დასაბუთებული ამხ. სტალინის წერილში „სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები". ცხადია, მუშაობის ეს გარდაქმნა შეეხება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგს, მათ შორის იდეოლოგიურ სფეროსაც.

საკ. კ.პ.(ბ) ცეკას დადგენილება „სალიტერატურო სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ", რომელიც ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში ახალ ეტაპს ჰქმნის, კონკრეტულად სახავს ამ ორგანიზაციათა ძირეული გადახალისების საკითხს ახალ ამოცანებთან დაკავშირებით. ეს დადგენილება განხილული უნდა იქნეს ამხ. სტალინის ისტორიულ მითითებათა რეალიზაციის მიმართებაში.

უკანასკნელ პერიოდში სოციალისტური მშენებლობის უდიდესმა წარმატებებმა გამოიწვია ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის დიდი ნაწილის შემობრუნება საბჭ. ხელისუფლებისადმი, მწერალთა ფართო კადრების აქტიური ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში. საგრძნობლად გაიზარდა „პროლეტარული ლიტერატურისა და ხელოვნების კადრები, ფაბრიკა-ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან დაწინაურდენ ახალი მწერლები და მხატვრები". ეს მაჩვენებელია იმის, თუ როგორი უდიდესი შესაძლებლობა აქვს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში მშრომელთა ფართო მასებს გამოამჟღავნონ თავისი შემოქმედებითი ძალები კულტურის ყოველ დარგში.

ცეკას დადგენილება აღნიშნავს ჩვენი ლიტერატურის და ხელოვნების ზრდას, სახავს ამ დარგში შემდგომი წინსვლის კონკრეტულ გზებს. იგი უდიდესი ფაქტორი იქნება ჩვენში ლიტერატურისა და ხელოვნების გაშლის, აღორძინების.

როცა პროლეტარული ლიტერატურის კადრები ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში, პარტია ყოველმხრივ ეხმარებოდა განსაკუთრებული პროლეტარული ორგანიზაციების შექმნას, განმტკიცებას. ჩვენი განვითარების ამ ეტაპზე აუცილებელი იყო ასეთი ორგანიზაციების არსებობა. მაგრამ დღეს, ახალს პირობებში ამ ორგანიზაციების ჩარჩოები „ვიწრო ხდება და აფერხებს მხატვრული შემოქმედების სერიოზულ გაშლას".

ასეთი გარემოება ჰქმნის იმის საფრთხეს, რომ ეს ორგანიზაციები სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო საბჭოთა მწერლების და მხატვრების, რაც შეიძლება მეტი მობილიზაციის საშუალებიდან გადაიქცევიან ჯგუფური კარჩაკეტილობის დანერგვის, თანადროულობის, პოლიტიკური ამოცანებისა და მწერალთა და მხატვართა იმ საგრძნობი ჯგუფისაგან მოწყვეტის საშუალებად, რომლებიც თანაუგრძნობენ სოციალისტურ მშენებლობას". სალიტერატურო - სამხატვრო ორგანიზაციათა არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა არ შეესაბამებოდა ლიტერატურის ახალ ამოცანებს. კიდევ მეტი. აბრკოლებდა მხატვრული შემოქმედების გაშლას. აქედან მისი გარდაქმნისა და მუშაობის ბაზის გაფართოების აუცილებლობა.

პარტიამ არა ერთხელ მიუთითა „რაპის" ხელმძღვანელთ მუშაობის გარდაქმნის საჭიროებაზე, რომ შეუძლებელია ძველი მეთოდებით მუშაობა, რომ აუცილებელია დაშვებულ შეცდომათა ბოლომდე აღიარება, გაშლა ბოლშევიკური თვითკრიტიკის, შემოქმედებითი დისკუსიის, ძალთა კონსოლიდაცია პრინციპიულ საფუძველზე და სხვ. მაგრამ პარტიის ეს მითითებები უაღრესად არა დამაკმაყოფილებლად სრულდებოდა. ჯგუფური კარჩაკეტილობა ბოლშევიკური თვითკრიტიკის სრულიად არასაკმარისი გაშლა, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მაგიერ—ადმინისტრატიულობა, აი რა მომენტები ახასიათებდა „რაპის" ხელმძღვანელობის მუშაობის პრაქტიკას უკანასკნელ წლებში. ამან გამოიწვია „რაპიდან" პროლეტარულ მწერალთა ერთი ნაწილის ჩამოშორება. ჯგუფობრიობას, თვით კრიტიკის ჩახშობის ცდებს, მტკიცედ ჰქონდა ფეხი გადგმული საქ. პროლეტ. მწერალთა ორგანიზაციაში. ის მახინჯი მხარეები, რომლებიც „რაპის" მუშაობას ახასიათებდა ჩვენს სინამდვილეშიც მთელის სისრულით მჟღავნდებოდა. საკმარისია მოვიგონოთ ის ბრძოლა, რომელიც ჩატარებული იყო ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლისათვის საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციაში, თუ როგორ „უჭირდათ" ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთ (ამხ. ბუაჩიძეს და სხვ.) ეღიარებიათ თავისი უხეში შეცდომები და ნათელი გახდება ზემოაღნიშნული დებულების სისწორე.

ცეკას დადგენილება ბოლოს მოუღებს ჯგუფობრივ კარჩაკეტილობას, ადმინისტრატიულობის ელემენტებს, კრიტიკის არაობიექტიურობას. აი სწორედ ამიტომ უაღრესად თანადროულია ცეკას დადგენილება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაუქმებისა და ყველა იმ მწერალთა ერთ კავშირში გაერთიანების შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში.

ცეკას დადგენილება უდიდეს საშუალებას იძლევა მხატვრული ლიტერატურა უფრო მაღალ სიფეხურზე იქნეს აყვანილი, გაიშალოს ნამდვილი პრინციპიული ბრძოლა ყოველგვარი სახის ანტიპროლეტარულ, ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ცეკას დადგენილება მოგვიწოდებს იმისაკენ, რათა დაუყოვნებლივ გამოსწორებული იქნას „მემარცხენე" ხასიათის შეცდომები თანამგზავრთა მიმართ, რომლებიც სდგანან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. ჩვენი ამოცანაა გარდავქმნათ თანამგზავრთა კადრები, დაუახლოვოთ ისინი პროლეტარულ პოზიციებს, აქტიურად ჩავაბათ სოციალისტურ მშენებლობაში, დავეხმაროთ მათ შეითვისონ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია. ამავე დროს სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ლიტერატურის დარგში.

ზოგიერთი ელემენტები შეეცდებიან იმგვარად დააყენონ საკითხი, თითქოს პროლეტარულ და საერთოდ საბჭოთა ლიტერატურაში დღის წესრიგიდან მოიხსნას პერევერზევშჩინის, ლიტფრონტოვშჩინის, ბურჟუაზიული და კლასობრივად მტრული გავლენების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. ასეთ განწყობილებებს სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. ეს ბრძოლა ჩვენ მიერ ჩატარებული უნდა იქნეს კიდევ უფრო მეტი თანმიმდევრობით და სიმძაფრით.

საბჭოთა მწერლების კავშირის წინაშე სდგას ამოცანა მაღალი მხატვრული ხარისხის, თავისი შინაარსით სოციალისტური ლიტერატურის შექმნა. მთელი მისი მუშაობა უნდა წარიმართოს ლოზუნგების—სოციალისტური ლიტერატურის, ლიტერატურაში მაგნიტოსტროებისათვის შექმნის რეალიზაციის ნიშნის ქვეშ.

განსაკუთრებით დიდი ამოცანები ისახება მწერალთა კავშირის წინაშე მეორე ხუთწლედთან დაკავშირებით, როცა დასმულია კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ, კლასების ლიკვიდაციის, უკლასო საზოგადოების აშენების ამოცანა.

საბჭოთა მწერლებმა მხატვრულ ფორმებში უნდა გვაჩვენონ ის კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს. მათ უნდა გვაჩვენონ კომუნისტური პარტიის როლი სოციალისტურ მშენებლობაში. უფრო ფართოდ ისმება დღეს უკვე საკითხი პროლეტარულ მწერალთა ახალი კადრების აღზრდის შესახებ მოწინავე-დამკვრელთა წრიდან, მუშებისა და კოლმეურნეებიდან. კიდევ უფრო უნდა გაიშალოს შემოქმედებითი შეჯიბრი. კრიტიკა, (რომელიც ჩვენში ხასიათდება დაბალი თეორიული დონით) უნდა ეხმარებოდეს მწერლებს ავიდეს შემოქმედების უფრო მაღალ საფეხურზე.

ამ ამოცანებს საბჭოთა მწერლების კავშირი განახორციელებს მაშინ, თუ ყველა მისი ძალები აქტიურად ჩაებმებიან მუშათა კლასის და მშრომელი მასების ყოველდღიურ ბრძოლაში სოციალიზმისათვის.

პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ, დაუნდობელი ბრძოლით კლასიური მტრებისა და ყოველი სახის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ჩვენ შევძლებთ იმ დიდ ამოცანათა შესრულებას, რომლებსაც ჩვენს წინაშე აყენებს ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება და მწერლები

საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა*)

16 მაისს შესდგა საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად, რომელზედაც საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილების შესახებ სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტპროპგანყოფილების გამგე ამხ. კ. გორდელაძე.

ამხ. კ. გორდელაძის სიტყვა

ამხ. კ. გორდელაძე აღნიშნავს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება ლიტერატურულ - სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტია. ეს დადგენილება სახავს ახალ გზებს მწერლობის განვითარებისათვის.

რით არის გამოწვეული ეს დადგენილება?

ამის გასათვალისწინებლად საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის ცვლილებები, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა მწერლობაში. საბჭოთა მწერლობამ უდიდეს შედეგებს მიაღწია. მით უმეტეს ითქმის ეს პროლეტარულ მწერლობაზე. ეს მიღწევები, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ თუ რამოდენიმე წლის წინად ჩვენ არ გვყავდა პროლეტარულ მწერალთა საკმაო კადრი, დღეს ეს კადრები უკვე არის. მივიღეთ აგრეთვე სათანადო მხატვრული პროდუქციაც. ამის უარყოფა არავის არ შეუძლია.

მეორეს მხრივ თანამგზავრულ მწერლობამაც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ საბჭოთა ხელისუფლებასთან, სოციალისტურ მშენებლობასთან დაახლოების საქმეში. ეს ჩანს მთელ რიგ ნაწარმოებებში. გაიზარდა მოკავშირული ლიტერატურა.

ერთის მხრივ პროლეტარული მწერლობის გაძლიერება, ხოლო მეორეს მხრივ თანამგზავრული მწერლობის დაახლოვება სოციალისტურ მშენებლობასთან, სახავენ საკითხს ახალი, უფრო მიზანშეწონილი ორგანიზაციული ფორმის შექმნის შესახებ, რომლებმაც სწორი გზით უნდა წარმართოს საბჭოთა მწერლობის განვითარება. გაშლილი სოციალისტური მშენებლობა მოითხოვს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნას. უნდა გარდაიქმნას მთლად სამხატვრო ორგანიზაციათა მუშაობაც. ამას მოითხოვს ცეკას დადგენილება.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებით გაუქმებულია პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. პროლეტარული მწერლობა გაიზარდა, განმტკიცდა და აღარ ესაჭიროება განსაკუთრებული პირობების შექმნა თავისი განვითარებისათვის. ცეკას დადგენილების ის მუხლი, რომელიც ეხება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაუქმების საკითხს, ჩვენ სწორედ ასე უნდა გავიგოთ, და არა ისე, თითქოს უქმდება პროლეტარული მწერლობა. პროლეტარული მწერლობა ამ დადგენილების შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება და განმტკიცდება, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა კლასიური მტრის გავლენების წინააღმდეგ ლიტერატურაში. უშუალოდ ამ ბრძოლას უხელმძღვანელებს კომფრაქცია საბჭოთა მწერლებთან ერთად.

ასოციაციის გაუქმება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პროლეტარული მწერლობის ორგანიზაცია მისი განვითარების ფაქტორიდან გადაიქცა პროლეტლიტერატურული მოძრაობის შემაფერხებელ ფაქტორად. ამის მაჩვენებელია ის კარჩაკეტილობა, ჯგუფობრიობა, ადმინისტრატიული ღონისძიებებით გატაცება, რომელსაც იქ ჰქონდა ადგილი. დღეს უკვე აღარ არის საჭირო პროლეტარულ მწერალთა განსაკუთრებულ ორგანიზაციათა არსებობა.

როგორი იქნება თავისი შემადგენლობით ის მთლიანი კავშირი, რომელიც გააერთიანებს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომ ყველა მწერლებს? როგორც დადგენილებიდან იცით, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით არსდება საბჭოთა მწერლების მთლიანი კავშირი. ამ კავშირში მიღებული იქნება ყველა მწერალი, რომელიც სცნობს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და მიისწრაფის მონაწილეობა მიიღოს სოც. მშენებლობაში. ეს არის მთავარი საზომი რომლითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ. რასაკვირველია, არ კმარა მარტო განცხადება, რომ მწერალი სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას. ამას უნდა ადასტურებდეს მისი შემოქმედებითი პრაქტიკა.

საბჭოთა მწერლების კავშირის ჩამოყალიბების დროს ჩვენ უნდა მოვსპოთ ის შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში. ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობდნენ, რომ როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ გაამწვავებულ კლასთა ბრძოლის პერიოდში, მწერლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ ან მოკავშირე მწერალი, ან მტერი. საკითხის ასე დასმა არ არის სწორი. მართალია, ჩვენ ვიმყოფებით ისეთ პერიოდში, როდესაც კლასთა ბრძოლა უაღრესად გამწვავებულია, მაგრამ არ შეიძლება ისე წარმოვიდგინოთ საქმე, თითქოს თანამგზავრობას ადგილი აღარ აქვს. ეს შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს.

როგორი ამოცანები სდგას საბჭოთა მწერლების კავშირის წინაშე?

მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური ლიტერატურის შექმნა. პროლეტარული ლიტერატურა, იმდენად რამდენადაც სწორად ასახავს სოციალისტურ ურთიერთობათ, არსებითად სოციალისტურია. მაგრამ არ არის სწორი გარდამავალი ხანის პროლეტარული ლიტერატურის სრული გაიგივება არსებითად სოციალისტური საზოგადოების ლიტერატურასთან.

საბჭოთა მწერალმა უნდა ასახოს ის გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც ჩვენში იშლება სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში. საბჭოთა მწერალმა მხატვრულ ფორმებში უნდა გადმოგვცეს ის გმირული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებს მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია მშენებლობის ფრონტზე. მან უნდა მოგვცეს შრომის ენტუზიასტების სწორი დახასიათება. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ყველამ ერთნაირად უნდა სწეროს, თითქოს საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში არ იქნება განსხვავება, თითქოს ეს შემოქმედება ერთნაირი იქნება. ცეკას დადგენილების ასე გაგება სწორი არ იქნება.

უმთავრესი ფორმა ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის სოციალისტური მშენებლობის სასარგებლოდ მდგომარეობს იმაში, რომ მწერლები დაეუფლონ დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდს. ასეთ შემთხვევაში ადგილი აღარ ექნება ფორმის და შინაარსის წინააღმდეგობას, რომელსაც ხშირად ხვდებით მთელ რიგ ნიჭიერ მწერალთა შემოქმედებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობა მართებთ ქართველ მწერლებს. რუსეთში ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრი გაკეთდა. იქ ნახავთ ბევრ უპარტიო მწერალს, რომელსაც საკმაოდ გამარჯვებული აქვს დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდი. ყოველი მწერალი თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში შემოქმედებით მუშაობასთან ერთად უნდა იბრძოდეს ამ მეთოდის დასაუფლებლად.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ იმდენი მიღწევები გვაქვს, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა ძნელი არ იქნება. ჩვენ პროლეტარულ მწერლების გვერდით გვყავს საბჭოთა მწერლების ძლიერი კადრი, რომელიც უფრო და უფრო მტკიცედ უახლოვდება საბჭოთა ხელისუფლებას და თანდათან უფრო ფართოდ ასახავს სოციალისტურ მშენებლობას.

პარტიის გენერალური ხაზის ურყევი გატარებით, გადამწყვეტი ბრძოლით, ყოველგვარი ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ჩვენ შევძლებთ ცეკას ისტორიული დადგენილების მიერ დასახულ ამოცანების განხორციელებას.

კ ა მ ა თ ი

რაჟდენ კალაძე აღნიშნავს, რომ ცეკას დადგენილება დიდ ყურადღებას იპყრობს ყველა წრეებში, ეს ნიშნავს, რომ ის შესაფერი და დროულია. პარტია ხედავს როგორ შეიცვალა პირობები და არ შეუძლია არ გამოეხმაუროს ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხს. ჩვენ ვხედავთ, რომ პროლეტარული მწერლობა წინ წავიდა, მაგრამ ჰეგემონია ჯერ კიდევ არ არის დაპყრობილი ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამ ჰეგემონიისათვის,

შემდეგ ამხ. კალაძე ეხება ამ ჰეგემონიისათვის წარმოებულ ბრძოლას და აღნიშნავს, რომ ამ გზაზე ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს. ჯერ იყო პროლეტკულტი, რომელმაც გააყალბა პარტიის ხაზი. ამიტომ პარტიამ ის გააუქმა. ასევე მოხდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში. ეს ასოციაცია, როგორც ამას აღნიშნავს დადგენილება, გადაიქცა პროლეტლიტერატურულ მოძრაობის შემაფერხებელ ფაქტორად. ამიტომ პარტია მას აუქმებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამით გაუქმებულია პროლეტარული მწერლობა. არა, ის ისევ წამყვან ძალად რჩება იმ კავშირის ფარგლებში, რომელიც არსდება ასოციაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. ეს რომ შესრულდეს, საჭიროა კომუნისტური ფრაქციის ნამდვილ ხელმძღვანელ ძალად გადაქცევა. ამისათვის კი პროლეტარული მწერლები უნდა შეიარაღდნენ საჭირო ცოდნით და იმუშაონ საკუთარ თავზე.

ბ. ჟღენტი: პარტიამ ჯერ კიდევ 1925 წლის რეზოლუციაში გარკვევით სთქვა, რომ ის წინააღმდეგია ლიტერატურაში რომელიმე ჯგუფის უპირატესობის, რომ ის მომხრეა მხატვრული კონკურენციის. ეს ხაზი ყოველთვის განსაზღვრავდა მხატვრული ორგანიზაციების მუშაობას, მაგრამ მაშინ იმდენად მცირე იყო პროლეტარულ მწერალთა კადრები და ძლიერი იყო მოწინააღმდეგე ბანაკი, რომ პარტია საჭიროდ სთვლიდა პრივილეგიების მინიჭებას პროლეტარულ მწერლობისათვის.

მაგრამ დღეს ჩვენ უკვე ოქტომბრის მე-15 წლისთავს უახლოვდებით, წარმატებით ვამთავრებთ პირველ ხუთწლედს და ვემზადებით უკლასო საზოგადოების შექმნისათვის მეორე ხუთწლედში. ამავე დროს ჩვენ გამოვაცალეთ ძლიერება მოწინააღმდეგე ბანაკს ლიტერატურის ფრონტზე და მწერლების ძირითადი მასა დადგა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე. ასეთ პირობებში ძველი ორგანიზაციული ფორმა აღარ შეეფერებოდა ცხოვრებას. საჭირო იყო მისი გადახალისება.

ერთიანი ფორმა, რომელიც იქმნება ეხლა, არ ნიშნავს კლასთა ბრძოლის მოსპობას მწერლობაში. რამდენათაც კლასთა ბრძოლა ჯერ კიდევ რჩება საზოგადოებაში, ის დარჩება მწერლობაშიც. ჩვენს ამოცანად რჩება ისევ ბრძოლა პროლეტარული მწერლობის ჰეგემონიისათვის. ჩვენს ერთიან ორგანიზაციაში უნდა გაიშალოს ფართო შემოქმედებითი შეჯიბრება სოციალისტური მშენებლობის უკეთ ასახვაზე. ჩვენ უნდა გარდავქმნათ ჩვენი მსოფლმხედველობა მარქსისტულ-ლენინური მეთოდის საფუძველზე და შევქმნათ ყველა პირობები ფართო შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ა. ჭუმბაძე: იმ დღიდან, როცა გამოქვეყნდა ცეკას დადგენილება, ყველა აღნიშნავდა, რომ ის უაღრესად დროულია. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ის ორგანიზაციული ფორმები, რომელშიაც იმყოფებოდა ჩვენი მწერლობა, როგორც პროლეტარული, ისე საბჭოთა მწერლობა, აღარ შეეფერებოდა ცხოვრებას. უკანასკნელ დრომდე ისეთი მდგომარეობა იყო, რომ პროლეტარული და არა პროლეტარული მწერლობა ერთმანეთს უპირდაპირდებოდა ორგანიზაციულად. საბჭოთა მწერლების ფედერაცია, მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერ გამოვიდა უმწეო მდგომარეობიდან. დღეიდან უკვე აღარ იქნება პროლეტარული და არა პროლეტარული მწერლობის ორგანიზაციული დაპირდაპირება. ეს საშუალებას მისცემს მწერალს უფრო ახლოს მივიდეს ხელისუფლებასთან და მუშათა მასებთან და გააცნოს მათ თავისი ნამუშევარი.

მთლიან ორგანიზაციაში იდეოლოგიის საკითხი კი არ იხსნება, არამედ იქმნება მეტი დაახლოვების და ურთიერთ გაგების საშუალება. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო პირობებს, ესეც გაუმჯობესდება. იქმნება ისეთი ორგანიზაცია, სადაც ყოველ საბჭოთა მწერალს ფართო გასაქანი ეძლევა შექმნას სოციალისტური რევოლუციისათვის შესაფერი ნაწარმოები.

შ. რადიანი: საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება ისტორიული დადგენილებაა. მას ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების მუშაობა ახალ საფეხურზე აყავს და სტიმულს აძლევს მათ—გააძლიერონ თავისი მუშაობა. დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ დავსახოთ კონკრეტული გზები ამ დადგენილების განხორციელებისათვის. აქ ისახება მთელი რიგი საკითხები. მე მინდა შევჩერდე პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობაზე. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ასოციაციას აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. ამას აღნიშნავს ცეკას დადგენილებაც; მაგრამ ამასთან ერთად მას ახასიათებდა მთელი რიგი ნაკლი, უარყოფითი მხარეები; ეს იყო ჯგუფობრივობა; კარჩაკეტილობა, ადმინისტრატიულობა. პარტია არა ერთხელ მიუთითებდა მუშაობის ფორმების და მეთოდების გარდაქმნაზე, მაგრამ ასოციაციის ხელმძღვანელობა ძალიან სუსტად, არადამაკმაყოფილებლად ატარებდა გარდაქმნას.

ცეკას დადგენილება უდიდეს ამოცანებს აკისრებს ლიტერატურულ ორგანიზაციებს. ეს დადგენილება საუკეთესო პირობებს ჰქმნის შემოქმედებითი მუშაობისათვის,

ცეკას დადგენილება ზოგიერთმა მწერლებმა, განსაკუთრებით მემარჯვენე-ბურჟუაზიულ ფრთამ გაიგო ისე, თითქოს მწერლობაში არსდება კლასთა ჰარმონია, თითქოს კლასთა ბრძოლა ისპობა. ეს არ არის მართალი. ბრძოლა ბურჟუაზიულ საშიშროების წინააღმდეგ მომავალი გამახვილებული იქნება, რა ამოცანები ეკისრება პროლეტარულ მწერლებს, რომლებიც შევლენ ამ ახალ ორგანიზაციაში?

მათ უნდა აიღონ ინიციატივა შემოქმედებითი დისკუსიის გასაშლელად, თვითონაც იბრძოლონ დიალექტიური მატერიალიზმის დასაუფლებლად და ამავე დროს დაეხმარონ საბჭოთა მწერლებს. მთავარია ცეკას დადგენილების გახალდება მხატვრულ შემოქმედებაში.

ტ. ტაბიძე: ვინც არ იცნობს პარტიის პოლიტიკას მხატვრულ დარგში, მხოლოდ იმას შეუძლია იფიქროს, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება მოულოდნელი იყო. მთავარი, რაც ძრის დადგენილებაში, ეს არის ის, რომ პროლეტარული მწერლობა ამიერიდან აღარ იქნება ჯგუფობრივი მოვლენა.

ცეკას დადგენილება ავალებს მწერლობას გააუმჯობესოს მხატვრული პროდუქცია. ჩვენ უნდა ვისწავლოთ წარმოების ენა, გარდავქმნათ ჩვენი საკუთარი თავი. ჩვენ უნდა ავსახოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, დავეუფლოთ დიალექტიურ მატერიალიზმს.

ნ. ზომლეთელი: ცეკას დადგენილებით მოხდა იმ ორგანიზაციული ფორმის შეცვლა, რომელშიაც ჩვენ დღემდე ვიმყოფებოდით. 1925 წელში პროლეტარული მწერლობა დიდი იყო, მაშინ მას დახმარება და გამაგრება სჭირდებოდა. მაგრამ შემდეგ პროლეტარული მწერლობა გაიზარდა. ძველი ფორმები აღარ დარჩა საკმარისი. ამიტომ ის უნდა დაშლილიყო. მაგრამ ეს არ ნიშნავს თვით პროლეტარულ მწერლობის დაშლას.

ცეკას დადგენილება პროლეტარულ მწერალს ზევრ რამეს მატებს. ვინც ნამდვილი მწერალია, ვინც ნამდვილი შემოქმედია, მას მეტი გასაქანი ეძლევა. მოიგო საბჭოთა მწერალმაც. ეს დადგენილება ხელს შეუწყობს მწერლობის დახვეწას.

ამხ. გეგია აღნიშნავს, რომ საბჭოთა მწერლების მომავალმა კავშირმა ფართო მუშაობა უნდა გაშალოს წითელ არმიაში და პროვინციის ახალგაზრდა მწერალთა შორის და აღზარდოს მათგან სოციალისტური მშენებლობის სასარგებლო მუშაკები.

ს. ჩიქოვანი: ცეკას დადგენილების შემდეგ ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციების მუშაობა გადადის ახალ ეტაპზე. ძირითადი დადგენილებაში არის ის, რომ პროლეტარული ლიტერატურის და საბჭოთა ლიტერატურის ზრდამ, ორი პოლიუსის ზრდამ მიგვიყვანა ერთ პოლიუსამდე, საბჭოთა მწერლობაში უკანასკნელ დროს იმდენად გაიზარდა ახალი კადრები, რომ ისინი თავის შემოქმედებით უახლოვდებოდნენ პროლეტარულ მწერლებს. მაგრამ ამას ხელს უშლიდა ორგანიზაციული ფორმები.

საბჭოთა მწერლების კავშირმა თავისი მუშაობა უნდა გაშალოს შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბების და შემოქმედებითი დისკუსიის გაშლის ხაზით. ჩვენ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მხატვრული პროდუქციის ხარისხს. პროლეტარული მწერლობის კრიტიკულმა სექტორმა თემატიკის ფარგლები ძალიან შეზღუდა. დღეს ეს თემატიური კარჩაკეტილობა ისპობა. მწერალს შეუძლია აიღოს თემა წარსულიდანაც, მაგრამ ეს წარსული გაშუქებული უნდა იყოს დღევანდელობის თვალსაზრისით.

ნ. მიწიშვილი: მწერალთა ახალ ორგანიზაციაში შეიქმნება ისეთი ასპარეზი, რომელიც უფრო ნათლად გამოარკვევს—ვინ არის ნამდვილი საბჭოთა და ნამდვილი მემარჯვენე მწერალი. დღემდე კი ამის შესაძლებლობა არ იყო, რადგან მწერალთა ორგანიზაციები აერთიანებდნენ ისეთ მწერლებს, რომელთა ერთ ფარგალში მოქცევა არ შეიძლებოდა. ამ მხრივ ცეკას დადგენილება განსაკუთრებული მისალმების ღირსია.

ს. ეული: დღეს მწერლობის წინაშე ახალი ამოცანები სდგას, ამის მიხედვით საჭიროა ორგანიზაციული ფორმების გადახალისება. ცეკას დადგენილება უმთავრესად პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას შეეხო. არის ცდები ასოციაციის წარსული მუშაობის მიჩქმალვისა. ეს არ არის სწორი, რადგან ასოციაციას წარსულში ჰქონდა მიღწევები. ეს მიღწევები რომ არ ყოფილიყო, პროლეტარული მწერლობა ვერ მივიდოდა იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც ის დღეს იმყოფება.

ცეკას დადგენილება აძლიერებს მწერლის პასუხისმგებლობას. პროლეტარული მწერალი ვეღარ ამოეფარება ორგანიზაციას, მან თავისი შემოქმედებით უნდა გაიკვალოს გზა. ვერც საბჭოთა მწერალი გავა ფონს ცარიელი დეკლარატიული განცხადებით. ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ ბრძოლა მწერლობის ბურჟუაზიულ ნაწილთან არ ისპობა.

პ. ჩხიკვაძე: საკითხი, რომელსაც აყენებს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება, მეტად სერიოზულია, იმდენად სერიოზულია, რომ ჩვენი დღევანდელი კამათი ვერ აეიდა მის შესაფერის სიმაღლეზე. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი მწერლობის განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია შემთხვევით არ დაარსებულა. ის დაარსდა იმ მიზნით, რომ შეექმნა პროლეტარულ მწერალთა კადრები. დღეს ეს კადრები უკვე გვყავს. ის რიცხვითაც და ხარისხითაც ეთანაბრება საბჭოთა მწერლების ნაწილს.

მაგრამ ასოციაცია გადაეხარდა, გასცილდა იმ ხაზს, რომელიც მას დაუსახა პარტიამ. მან, განსაკუთრებით რუსეთში პარტიის გენერალური ხაზის პარალელურად შექმნა თავისი ხაზი. ასოციაცია იმის მაგივრად, რომ ებრძოლა მემარჯვენე მწერლობის წინააღმდეგ იდეური საშუალებით, ხშირად წმინდა ადმინისტრატიულ ზომებს მიმართავდა. ადგილი ჰქონდა კარჩაკეტილობას, მწერლების შინაურულად წამოწევას და სხვ. ეს დროზე აღნიშნა პარტიამ და 23 აპრილის დადგენილებით გააუქმა ასოციაცია.

ახალი ორგანიზაციის მთავარ ამოცანად რჩება ბრძოლა პროლეტარულ მწერლობის ჰეგემონიისათვის, ლიტერატურის მაგნიტოგორსკის შექმნისათვის. ამისათვის ბრძოლა შეუძლია არა მარტო პარტიულ მწერალს, არამედ უპარტიო მწერალსაც. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მწერლობაში რაღაც კლასობრივი ხაზი ჩამოვარდება, ბრძოლა ისევ რჩება. პროლეტარული კრიტიკა ამიერიდან კიდევ უფრო მეტ მოთხოვნილებას წაუყენებს მწერლებს. ნურავინ იფიქრებს, რომ მწერალს შეუძლია სწეროს ყველაფერი, რაც თავში მოუვა და ამისთვის პასუხს არავინ მოსთხოვს. ახალ ორგანიზაციაში მწერალს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. კ. გორდელაძე, რის შემდეგაც მიღებული იქნა მისალმება საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისადმი.

დასასრულ არჩეულ იქნა ბიურო მწერალთა ყრილობის მოსამზადებლად.

*) მოკლე ანგარიში.

საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის რეზოლუცია

საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ბიუროს კონფერენციამ 14 მაისს მიიღო ვრცელი დადგენილება საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის გადაწყვეტილების გამო „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ". დადგენილებაში ნათქვამია: „საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. 23 აპრილის გადაწყვეტილებაში—„სალიტერატურო სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ" უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი იდეოლოგიური ფრონტისათვის, იგი ძირეულად და კონკრეტულად სვამს სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა წინაშე მუშაობის გარდაქმნის ამოცანებს ახალი პირობების მიხედვით.

ხელოვნების და ლიტერატურის დარგში პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა ჩაატარა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრულად განწყობილ თეორიების წინააღმდეგ, ამხილა და გაანადგურა მომენშევიკო იდეალიზმი, პერევერზევშჩინა, ლიტფრონტოვშჩინა და სხვ., ამხ. სტალინის წერილმა „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხების შესახებ" სასტიკი ცეცხლი მიმართა კონტრრევოლუციონურ ტროცკიზმის კონტრაბანდისტების, დამპალი ლიბერალიზმის და სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტების წინააღმდეგ, გაამახვილა პარტიული მასის ყურადღება კლასიური მტრების გამოსვლათა წინააღმდეგ და მკვეთრად დააყენა თეორიის პარტიულობის ამოცანები.

სოციალიზმის ძლევამოსილმა მსვლელობამ გამოიწვია ძველი ინტელიგენციის უმრავლესობის ძირეული გადმოსვლა საბჭოთა წყობილების მხარეზე. ლიტერატურის სფეროში ეს მობრუნება გამოიხატა მწერალთა ფართო კადრების აქტიური ჩაბმის სახით სოციალისტურ მშენებლობაში.

საკ. კ.პ. (ბ) ც.კ. გადაწყვეტილება სათანადო პირობებს ქმნის ლიტერატურის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად, ლიტერატურული მაგნიტოსტროების შესაქმნელად.

საბჭოთა მწერლობის კავშირის წინაშე უდიდესი ამოცანები ისახება სოციალისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე გადასვლასთან, მეორე ხუთწლედთან დაკავშირებით.

საბჭოთა მწერლობის კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ახალი კადრების წამოწევას მუშათა და კოლმეურნეთა რიგებიდან.

საბჭოთა მწერლობის კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს მწერალთა შემოქმედებითი მუშაობას.

საბჭოთა მწერლობის კავშირმა შეუნელებელი ბრძოლა უნდა გაშალოს ბურჟუაზიულ საშიშროების წინააღმდეგ.

პროლეტარული მწერლები, რომლებიც შევლენ საბჭოთა მწერლობის კავშირში, ისინი პირველ რიგში უნდა ჩადგენ, მათ უნდა იბრძოლონ ბოლშევიკურ თვითკრიტიკის, შემოქმედებითი დისკუსიის გაშლისათვის, დიალექტიკურ მატერიალიზმის დაუფლებისათვის, მწერალთა თანამგზავრულ კადრების ძირეულ გარდაქმნისათვის.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს პარტიის ბელადს ამხ. სტალინს!"

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

საქარ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი და აქტივი მხურვალედ ესალმება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებას: „ლიტერატურულ და მხატვრულ ორგანიზაციების გარდაქმნისათვის".

დღეს, როცა ასრულებს პირველ ხუთწლედს და იწყებს სოციალისტურ მშენებლობის მეორე ხუთწლედს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა, როცა გაუგონარი ენტუზიაზმით იქმნება განთავისუფლებული შრომის ახალი ფორმები და იჭედება უკლასო საზოგადოება, ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება ლიტერატურულ და მხატვრულ ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს იმ ერთიან ორგანიზაციას, რომელშიაც თავს იყრიან საბჭოთა მწერლები.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისა და კულტურული რევოლუციის მიღწევების საფუძველზე საბჭოთა მწერლობამ უფრო უნდა შეამჭიდროვოს თავისი რიგები, შემოიკრიბოს და აღზარდოს ახალი კადრები, რომ ღირსეულად გამოეხმაუროს ეპოქას და აქტიურად ქმნიდეს სოციალისტურ კულტურას.

საერთო ლოზუნგი ხარისხის მაჩვენებელის აწევისა საბჭოთა მწერლობასაც ავალებს თავის ფრონტზე უფრო მეტი შეგნებით და პასუხისმგებლობით ასწიოს მწერლობის ხარისხი და იბრძოლოს საუკეთესო ოსტატობისათვის, რომ გვერდში ამოუდგეს მშრომელთა კლასს გიგანტურ ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობისათვის.

საქარ. საბჭოთა მწერლები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ მეფის რეჟიმი ჩვენს ქვეყანას და მთელ ამიერ-კავკასიას კოლონიისა და ნახევარ კოლონიის მდგომარეობაში ამყოფებდა, აფერხებდა რა მის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას, რომ გასაბჭოებამდე მომქმედი დემოკრატიულ-ბურჟუაზიული მთავრობები კიდევ უფრო აღრმავებდენ მეფის საძაგელ მემკვიდრეობას და გაღატაკებამდე მიიყვანეს შრომელთა მასები, ხელოვნურად ქმნიდენ ეროვნულ შუღლსა და გამწვავებას, ამიტომ საბჭოთა მწერლობა მეტის თავდადებით იბრძოლებს სოციალისტურ მშენებლობისათვის და მასების ინტერნაციონალურ აღზრდისათვის, გარდაქმნის რა თავის მუშაობას ცეკას ისტორიულ დადგენილების მიხედვით.

გ უმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ მშენებლობის დამკვრელ ბრიგადას—კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიისა და მსოფლიო მუშათა კლასის ბელადს ამხ სტალინს.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საორგ. ბიურო.

საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებულმა კრებამ ორგბიუროში აირჩია:

კ. გორდელაძე (თავ-რე), **ს. ეული, პ. ჩხიკვაძე, დ. დემეტრაძე, ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ტ. ტაბიძე, ა. ჭუმბაძე, შ. რადიანი, ლ. ქიაჩელი, ნ. მიწიშვილი, რ. გვეტაძე, ნ. ზომლეთელი, ბ. ჟღენტი, გ. ბუხნიკაშვილი.**

პარტიული კომისია

საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის სამდივნომ გამოყო პარტიული კომისია, რომელსაც დაევალა 2 დეკადის განმავლობაში გამოიმუშაოს ღონისძიებანი სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნისათვის.

კომისიაში შედიან: ამხ. გ. ყურულაშვილი (თავმჯდომარე), კ. გორდელაძე, შ. რადიანი, დ. დემეტრაძე, პ. ჩხიკვაძე, გ. ბუხნიკაშვილი.

რუსეთის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი

რუსეთში არსებულ ლიტორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად და რუსეთის საბჭოთა მწერლების ყრილობის მოსაწვევად შესდგა საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

მ. გორკი—საპატიო თავმჯდომარე, **ტ. გრონსკი**—თავმჯდომარე, **კირპოტინ**—მდივანი, წევრებად: ამხ. **ასეევი, აფინოგენოვი, ბახმატიევი, ბერეზოვსკი, ბეზიმენსკი, ბილ-ბელოცერკოვსკი, ჟიგა, ზამოისკი, ივანოვი, ლეონოვი, მალიშკინი, პავლენკო, პანფეროვი, სეიფულინა, სლონიმსკი, სერაფიმოვიჩი, სტავსკი, ტიხონოვი, ფადეევი, ფედინი, ჩუმადრინი.**

შემოქმედებითი დისკუსიის ტრიბუნა

ლ. ქიაჩელის წერილის გამო

„სალიტერატურო გაზეთი"-ს მე-10 ნომერში პროზის საწარმოო თათბირის შედეგების და ანგარიშის გვერდით, მოთავსებულია საკმაოდ ცნობილი მწერლის, ლეო ქიაჩელის წერილი, „რამდენიმე შენიშვნა პროზის საწარმოო თათბირის შესახებ". ლ. ქიაჩელი თავის წერილში ეხება საბჭოთა მწერლობის მიერ ჩატარებულ თათბირს და იძლევა საკითხების ისეთ შეფასებას, რომელიც მთლიანად განსხვავდება, ამავე გაზეთის ძირითადში სწორი შეფასებისაგან. ამიტომ ჩემის აზრით, ამგვარი „შენიშვნების" უყურადღებოთ დატოვება არ შეიძლება, რადგან ის ლეო ქიაჩელთან ერთად გამოხატავს საბჭოთა მწერლობის ერთი ფენის აზრსაც.

საბჭ. მწერლობის მუშაობაში საწარმოო თათბირების შემოღება ახალი საქმეა, ამდენად მას აუცილებლად აქვს ნაკლი. თათბირების მუშაობას, რომ დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია, ამაში ბევრი არ შეგვედავება, მაგრამ საკითხი დგას მომავალი საწარმოო თათბირების უკეთ ჩატარების შესახებ. ამ მხრივ თვითეული მწერლის აზრს, თათბირების მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ამ მხრივ გვაინტერესებს ლეო ქიაჩელის წერილი, რომელშიაც შემცდარი და არა სწორი დებულებებია წამოყენებული.

სანამ გადავიდოდეთ ლეო ქიაჩელის მიერ წამოყენებულ დებულებათა განხილვაზე, წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროზის საწარმოო თათბირზე, ადგილი ქონდა მწერალთა მკვეთრ დიფერენციაციას. თათბირზე აქტიურად გამოვიდა რეაქციონური მწერლობა. რეაქციონური მწერლობის წინააღმდეგ თათბირზე დაუნდობლად იბრძოდა პროლეტმწერლობა. რეაქციონურ მწერლობის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრეთვე საბჭოთა მწერლობას მოწინავე ნაწილმა. ყველა ამის შემდეგ ჩვენთვის გაუგებარი დარჩა ლეო ქიაჩელის აშკარა შემრიგებლური წერილი, სადაც ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი მ. ჯავახიშვილის, ნ. მიწიშვილის და კ. გამსახურდიას რეაქციონურ გამოსვლის შესახებ. ლ. ქიაჩელი არ ემიჯნება თავის წერილობით დოკუმენტში ქართული მწერლობის ამ ნაწილს.

ლეო ქიაჩელი აშკარავებს ანტი-მარქსისტულ შეხედულებას, თითქოს ქართული მწერლობა დღეს ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. წერილში ერთ სიტყვასაც ვერ იპოვით, სადაც აღნიშნული იყოს ის კლასობრივი დიფერენციაცია, რომელსაც რეალურად ადგილი აქვს მწერლობაში.

არაა მართალი შენიშვნების ავტორი, როდესაც ორ მომხსენებელს ხელ-აღებით უყიჟინებს, თითქოს ისეთი მოხსენებები წარმოადგინეს, „რომელიც ჩვეულებრივ ყველა პრობლემებს შეიცავს საერთოდ, ყველა მწერალს ეხება, ხოლო სათანადო სისავსით ვერც-ერთს ვერ სწვდის, ვერ არკვევს". არ არის სწორი ეს აზრი მიუხედავათ ერთგვარი ზოგადობისა (ზოგადობაა კონკრეტულსაც გულისხმობს) მომხსენებლების მიერ მწერლები ძირითადში სწორად იქნა შეფასებული. მართალი იყო ამხ. ნატროშვილი, როცა საბჭოთა მწერლობის დიფერენციაციის ხაზგასმით უდგებოდა თვითეულ მწერალს. ცხადია, მოხსენებებს ქონდა ნაკლი — ეს თათბირზედაც აღინიშნა. ნაკლი უმთავრესად მდგომარეობდა იმაში, რომ მომხსენებლებმა ყურადღების ცენტრში ვერ დააყენეს პროლეტარული ბელეტრისტიკის საკითხები. ამან მწერლობის ერთ ნაწილს საშუალება მისცა, თათბირზე გაეცხადებიათ: რომ პროლეტარული მწერლობა არ წარმოადგენს წამყვან ძალას მთელ საბჭოთა მწერლობაში. ცხადია, ამგვარი უსაფუძვლო აზრის დამტკიცება დღეს შეუძლებელია.

თანამგზავრობის და მოკავშირეობის შესახებ ლ. ქიაჩელი გამოსთქვამს შემცდარ შეხედულებას. ეს შეხედულებანი მან განავითარა თანამგზავრობის და მოკავშირეობის ირგვლივ გამართულ დისკუსიის დროსაც. ლ. ქიაჩელის აზრით „თანამგზავრი თუ მოკავშირე მწერალი თუმცა იდეოლოგიურად პროლეტარიატთან არის", მაგრამ თურმე თანამგზავრია, რადგან „სტილის მხრივ ჯერ კიდევ მისგან დაშორებულია". (იხ. „მნათობი" № 1—2 გვ. 232). გამოდის, რომ აქ სტილშია მთავარი საფრთხე და არა იდეოლოგიაში. ჩვენ კი ასე არ გვესმის. თანამგზავრი და მოკავშირე რომ იდეოლოგიურად მთლიანად პროლეტარიატთან იდგეს მაშინ ასეთი დაყოფაც არ იქნებოდა საჭირო.

ლ. ქიაჩელს პრაქტიკული წინადადება შემოაქვს თათბირის ჩატარების შესახებ. მისი აზრით უმჯობესი იყო „მომხსენებლებს ცალკე დამუშავებული თემები წარმოედგინათ — ამოცანები. მაგ.: „სიუჟეტი თანამედროვე ქართულ პროზაში", „სტილი და იდეოლოგია", ამავე პროზაში, „თემატიკა". „მხატვრული საშუალებანი", ან „ჟანრის პრობლემები ცალკე და სხ.". თათბირისათვის საკითხების და თემების ამგვარ დალაგებაში ქიაჩელს ვერ დავეთანხმებით. თვითეული ეს მთელთან ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ თათბირზე მოხსენებების ამგვარი წარმოდგენა შეუძლებელია. ჩვენი აზრით, პროზის თანამედროვე მდგომარეობას უფრო შეეფერებოდა მოხსენებების სხვანაირი დალაგება, მაგალითად, ერთი დეტალურად შეეხებოდა იმ მწერლების შემოქმედებით პრაქტიკას, რომლებიც უმთავრესად რევოლიუციონურ თემატიკაზე მუშაობდნენ, მეორე—ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და საწარმოო ყოფა, მესამე კი თემაზე: როგორაა ასახული სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა მხატვრულ პროზაში. მოხსენებათა ამგვარი დალაგება უფრო გაადვილებდა საკითხების სწორ გაკვლევას. აგრეთვე ასეთი დაყოფა მიტომაც არის უკეთესი, რომ თანამედროვე ბელეტრისტიკაში ძირითად თემებად ესენი ითვლება.

შენიშვნების ავტორი შემცდარ აზრს ანვითარებს თეორიული მუშაობის შესახებ, როცა აცხადებს: „თეორიული ხასიათის მუშაობა ჩვენს მრეწველობას მაინცა და მაინც არ ახასიათებს". თუ ჩვენ თვითკრიტიკის წესით მარქსისტ.-ლენინური სალიტერატურო კრიტიკის მისამართით ვამბობთ, რომ ის სუსტია, ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, თითქოს თეორიული ხასიათის მუშაობა საბჭოთა მწერლობას არ ახასიათებს. ლ. ქიაჩელის აზრი რომ განვავითაროთ, გამოდის, თითქოს ის დიდი ბრძოლა, რომელიც ჩატარებულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ ლიტერატურათმცოდნეობის დარგში, რეაქციონურ მწერლობის ანტი-პროლეტარულ და მავნე შეხედულებებთან, თეორიული მუშაობა არ ყოფილა. ამგვარი რამის დამტკიცება შეუძლებელია და ცხადია ქიაჩელის მოსაზრებაც შემცდარია.

საინტერესოა ქიაჩელის მსჯელობა დიალექტიკური მეთოდის საკითხის შესახებ. აქ ის ამხ. ნატროშვილისაგან პირდაპირ მოითხოვს ამ მეთოდის გამოყენების ჩვენებას. ის სწერს: „გ. ნატროშვილსაც თავის მოხსენების თეორიულ ნაწილში მოუხდა რუსული მწერლობის მოშველება, მაგრამ, მომარჯვების საკითხი მხატვრულ პროზაში და ის ფორმები, რომლებშიაც ეს მომარჯვება უნდა სწარმოებდეს, მან მაინც ბოლოს და ბოლოს არ გვითხრა". ლ. ქიაჩელთან ერთად ჩვენც ვამბობთ, რომ ზოგად დებულებების წამოყენება არ სწყვეტს საკითხს. დიალექტიურ მატერიალიზმის მეთოდის მომარჯვებისას შემოქმედებითი პრაქტიკაში. მაგრამ ის მოთხოვნილება, რომელიც მან კრიტიკას წაუყენა, პირველ ყოვლისა მწერლობის საქმეა. თვით მწერალმა უნდა მოგვცეს პროზაში ამ მეთოდის კატეგორიების მხატვრული განსხეულება. მწერალმა, პირველმა უნდა ააგოს ნაწარმოები მარქსისტულ - ლენინურ მეთოდზე და აჩვენოს მოვლენათა რეალური კანონზომიერება, რომელიც „გულისხმობს გარდა დეტალების სიმართლისა, ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოცვაში გადმოცემის სისწორეს". (ფრ. ენგელსი, მისი ახლახან გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა ბალზაკის შესახებ). ცხადია, ამის გარეშე კრიტიკოსს დამოუკიდებლად არ შეუძლია გვიჩვენოს „ის ფორმები, რომელშიაც ეს მომარჯვება უნდა სწარმოებდეს".

დიალექტიკური მეთოდის მომარჯვება მწერლისათვის, პირველ ყოვლისა, განვითარებას ნიშნავს. ის, რაზედაც იწერება, არაა უძრავი, მარადიული, არამედ განიცდის განვითარებას. წინააღმდეგობათა მთლიანობა არის ძირითადი, რომელშიაც გამოიცლინება ყველა მისი დამახასიათებელი თვისებები. ბელეტრისტი, ვსთქვათ, როდესაც ის კოლმეურნეობრივ მოძრაობაზე სწერს, კოლმეურნეობას იღებს არა როგორც საბოლოოდ ჩამოყალიბებულ და დასრულებულ მოვლენას, არამედ, როგორც პროცესს, განვითარებაში მყოფს, უმაღლეს საფეხურზე გარდამავალს. კულაკები იბრძვიან კოლმეურნეობრივ მოძრაობის წინააღმდეგ. ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა კოლმეურნეობის დაწვაა. ბელეტრისტს შეუძლია ამ შემთხვევაში აიღოს დაწვა, როგორც დასრულებული მოვლენა, და შემდეგ მხატვრულად გამოაშკარავოს ის კლასობრივი მიზეზები, რამაც ეს მოვლენა გამოიწვია. მწერალმა აქ უნდა გვიჩვენოს შედეგი, მაშასადამე, პროზა გვაძლევს მხატვრულ ანალიზს კლასობრივ მიზეზ-შედეგის თვალსაზრისით. ყველა ამ მოვლენების შესახებ სწორ წარმოდგენას, მის სწორ ალბეჭდვას ჩვენს გონებაში მატერიალისტური დიალექტიკა იძლევა. სხვა გზა პროლეტარული და მოკავშირე - თანამგზავრი მწერლისათვის არ არსებობს.

ჩვენის აზრით, მომხსენებლების ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ვერ გამოამჟღავნეს კონკრეტული ფაქტები, სადაც დიალექტიკის რომელიმე კატეგორია მაინც ყოფილიყოს მოცემული. ასეთი მხატვრული ფაქტები კი პროლეტმწერლობას მოეპოვება. მომავალში კრიტიკის ერთ-ერთი ამოცანაც ამაში მდგომარეობს. ლ. ქიაჩელი უფრო აღრმავებს თავის შემცდარ შეხედულებას, როცა ის კონკრეტულად ბეს. ჟღენტის მოხსენების ზოგიერთ დებულებას აკრიტიკებს. აქ ლ. ქიაჩელი პირობითად იზიარებს ბეს. ჟღენტის აზრს: საჭიროა მწერალმა „ფაქტები ტენდენციურად" დაალაგოს! პროლ. მწერალი რეალურ სამყაროს და მის მოვლენებს იხილავს პროლეტარიატის იდეოლოგიის თვალსაზრისით, მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდით. რა საჭიროა აქ ფაქტების ან მოვლენების ტენდენციური დალაგება! ნუ თუ განვითარების დიალექტიკა არ ლაპარაკობს პროლეტარიატის სასარგებლოდ? თუ საჭიროა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური განხილვის გარდა, ფაქტების რაღაც „ტენდენციური" დალაგება, რომ გამოვააშკარაოთ ის, რაც ჩვენ გვინდა, და არა ის, რაც ობიექტიურად არსებობს. აქ დაკვირვებული მკითხველისათვის აშკარა გახდება, როგორც ბ. ჟღენტის, ისე ლ. ქიაჩელის შემცდარი შეხედულება. ორივეს აზრით, თურმე საჭიროა ფაქტების ხელოვნური მწკრივის შექმნა, ტენდენციური დალაგება, რომ მწერალმა საკითხი მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობით გადაჭრას. ცხადია, ობიექტურად მოვლენათა ისეთი განვითარება არსებობს, როგორსაც მარქსიზმ-ლენინის დიალექტიკა იძლევა, მაშასადამე, „ფაქტების ტენდენციურ" დალაგებაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება.

აგრეთვე შემცდარია ქიაჩელის მსჯელობა „მარადიული ლიტერატურის" შესახებ. გასაკვირი ისაა, რომ ქიაჩელი ამას მატერიალისტური დიალექტიკით ხსნის.

მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის თანახმად ბუნებამ, საზოგადოებამ და აზროვნებამ მარადიული, გარდუვალი, უცვლელი, არაფერი იცის, გარდა მოძრაობისა და ცვალებადობისა. მარადიული ხელოვნება და მწერლობა შეუძლებელია ისე, როგორც სხვა ზედნაშენები. არ შეიძლება „უკვდავი" იყოს ის, რაც განსაზღვრულ საფეხურზე, განსაზღვრულ გარემოებებში წარმოიშობა. ქიაჩელს თავის დებულების დასამტკიცებლად ლიტერატურის ისტორიიდან არც ერთი ეპოქა არ გამოადგება.

შენიშვნების ავტორს არ სწამს ლიტერატურა, რომელშიაც მარადიული არაა მონახული. იგი მიმართავს ბეს. ჟღენტს: „რა თქმა უნდა, ბეს. ჟღენტი ჩვენ ვერ მოგვიწოდებდა მეორე ხარისხოვან ლიტერატურისაკენ, რომელსაც მხატვრულ შემოქმედებასთან ძალიან ცოტა კავშირი აქვს". მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკას არც ერთი მწერლისათვის არ მოუწოდებია მეორე ხარისხოვან ლიტერატურისაკენ. თუ თანამგზავრს და მოკავშირეს პროლეტარულ იდეოლოგიისკენ მოუწოდებენ, ეს მეორე ხარისხოვნობას როდი ნიშნავს. პროლეტარული მწერლობა მოწინააღმდეგე კლასების მწერლობასთან ბრძოლაში გაიზარდა. სოციალიზმის პერიოდში ხელოვნების წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა: ბრძოლა ბოლშევიზმის დიადი ხელოვნების შექმნისათვის.

დასასრულ რამოდენიმე შენიშვნა მომავალი საწარმოო თათბირისათვის. საჭიროა თათბირს მიეცეს მეტი გეგმიანი ხასიათი, წინასწარ იყოს ცნობილი თეზისები და ჩატარდეს მოსამზადებელი მუშაობა, როგორც პრესაში, ისე მათ შორის, ვინც უშუალოდ ამ საკითხთან არის დაკავშირებული.

მიხ. ჩიქოვანი.

სევასტი თალაკვაძე

პრესის დღე

პირველად ჩვენში

1912,13 და 14 წლები დიდი რევოლიუციონური აზვირთების წლებია.

მთელ რიგ ქალაქებს მოედო ძლიერი გაფიცვების ტალღა.

ეს გაფიცვები უმეტესად ატარებდენ გარკვეულ პოლიტიკურ ხასიათს.

მისი ცენტრი, როგორც ყოველთვის, ეხლაც პეტერბურგი იყო.

დიდი სამრეწველო ქალაქების (მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ხარკოვ-კიევის, ვარშავა-რიგას და ბაქოს) პროლეტარიატი უკან არ რჩებოდა პეტერბურგს და რევოლიუციონური ბრძოლებისათვის ემზადებოდა.

მთელი ამ მოძრაობის ხელმძღვანელობა უცვლელად ბოლშევიკების ხელში იყო. მენშევიკები ამ ბრძოლის მიღმა იდგენ.

სწორედ ამ პირობებმა მოამზადა მებრძოლ პროლეტარიატის დიდ ბეჭდვითი ორგანოს „პრავდა"-ს ლეგალური გამოცემის შესაძლებლობა 1912 წელს.

ამავე ხანებში იწყო გამოსვლა აგრეთვე მენშევიკურ გაზეთ „ლუჩ"-მაც, რომელიც მოკლებული იყო გავლენას მებრძოლ მუშათა მასებში.

გაზეთი „ლუჩი" წარმოადგენდა ლიკვიდატორულ ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მენშევიკების ბელადი მარტოვი.

„პრავდა კი, როგორც „ლუჩ"-ის მოპირდაპირე, იყო ნამდვილი მებრძოლი ორგანო ლენინის ხელმძღვანელობით.

1914 წელს, 22 აპრილს (ძველი სტილით), ბოლშევიკურმა ცენტრმა გადასწყვიტა „პრავდა"-ს ორი წლის თავზე **პროლეტარული პრესის დღის** აღნიშვნა და მასთან დაკავშირებით ამ ორგანოსთვის „რკინის ფონდი"-ს შექმნა.

მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც სწარმოებდა ამ ზეიმის ჩასატარებლად, მოდიოდა ჩვენამდის, ტფილისის მუშებამდისაც და თბილისელი ბოლშევიკები საგულდაგულოდ ვემზადებოდით ამ დღისათვის.

მაგრამ ამ დღისათვის ჩვენს წინააღმდეგ ემზადებოდა მეფის მთავრობა და ჟანდარმერიაც.

ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი პასტრიულინი აი, როგორ მიმართავს საპოლიციო უბნებს: „ჩემ მიერ აგენტების საშუალებით შეკრებილ სარწმუნო ცნობებით, ამა აპრილის 22-ს მთელს რუსეთში სოციალ-დემოკრატები მოაწყობენ ფულის შეგროვებას მარქსისტულ პრესის ეგრეთწოდებულ რკინის ფონდისათვის, ამ პრესის არსებობის ორი წლის აღსანიშნავად. საიუბილეო დღეს სოციალ - დემოკრატიული გაზეთის „პუტ პრავდი"-ს თვითეული ნომერი გაიყიდება 10 კაპ.

ხსენებული ფონდის დანიშნულებაა — მომავალში ბეკების (ბოლშევიკების) გაზეთისათვის დახმარების აღმოჩენა.

გაუწყებთ რა ამას ცნობად, გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ ფულის შეგროვებას ხელი შეუშალოთ და შედეგი მაცნობოთ".

პოლკოვნიკი პასტრიულინი

(„რევ. მატ." № 7—8 მასალ.).

ასე ემზადებოდენ ჟანდარმები ჩვენი „პრესის დღის" წინააღმდეგ.

ტფილისელ ბოლშევიკების ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდა: ალიოშა ჯაფარიძე, კასიანი, შალიკო ასკურავა (სამოქალაქო ომში დაღუპული) არუსიაკი, ლადო სუხიშვილი, გიორგი ყურულაშვილი, თომა კამალოვი (დენიკინელების მიერ ნაწამები კავკავში), მე და სხვები, — 22 აპრილისათვის გამოვიწერეთ გაზეთ „პრავდა"-ს დიდი რაოდენობა, მის ფართოდ გავრცელებისათვის.

22 აპრილი შესანიშნავი მზიანი დღე იყო.

ყველა ჩვენი ამხანაგები და თანამგრძნობი დილიდანვე ქუჩებში იყო გამოფენილნი და დროისათვის უკვე მიღებულ „პრავდა"-ს მრავალ ეკზემპლიარს ვავრცელებდით მუშათა რაიონებში და ხელის მოწერით ვკრებდით (ფსევდონიმებით) ამხანაგებისა და თანამგრძნობებისაგან შემოწირულებას; ამავე დროს ვავრცელებდით ჩვენ მიერ ამ დღისათვის გამოცემულ პროკლამაციას — „პროლეტარულ პრესის დღის" მნიშვნელობის შესახებ.

ამ დღეს ჩვენ შევაგროვეთ საკმაო თანხა „რკინის ფონდისათვის".

ამ დროს ტფილისში გამოდიოდა ერთადერთი კვირეული მენშევიკური გაზეთი „ფიქრი" ლადო ამხტელაშვილის რედაქტორობით. ჩვენ, აქაურ ბოლშევიკებს, მაშინ საკუთარი ბეჭდვითი ორგანო არ გვქონია.

აღსანიშნავია, რომ „პროლეტარულ პრესის დღის" ჩატარებაში, რომელსაც ჩვენთვის—ბოლშევიკებისათვის, თავისი ისტორია და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მონაწილეობას ღებულობდენ ადგილობრივი მენშევიკებიც. მათ ძალიან ცოტა ჰქონდათ საერთო ამ დღესთან, მაგრამ „ამბების" კუდში ჩანჩალით ცნობილი მენშევიკები არც ახლა ივიწყებდენ თავის ჩვეულ „ხელობას". ისინი ისე აჩვენებდენ თავს თავიანთ „მრევლს", თავიანთ გულუბრყვილო ამხანაგებს — თავის მიმდევრებს, რომ გეგონებოდათ ეს დღე მათი მოგონილი და დაწესებული ყოფილიყოს, იმ განსხვავებით, რომ თუ ჩვენ „რკინის ფონდს" ვქმნით „პრავდა"-სათვის, ისინი ამ ფონდს ქმნიდენ გაზეთ „ფიქრი"-სათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ჩვენი გულუბრყვილო ამხანაგი, რომელსაც სათანადოდ ვერ შეეგნო ბოლშევიკური „პრესის დღის" მნიშვნელობა მენშევიკებმა შეცდომაში შეიყვანეს და „რკინის ფონდი"-სათვის მოგროვილი ფული თავიანთ გაზეთის სასარგებლოდ დასტყუეს.

საერთოდ, ეს დღე ჩვენ ნაყოფიერად ჩავატარეთ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია გვითვალთვალებდა და ყოველ მხრივ გვიშლიდა ხელს. ამ დღეს ბევრ ამხანაგს ამოაყოფიეს თავი მეტეხის საპყრობილეში, თუ არ ვცდები მათ შორის გიორგი ყურულაშვილსაც.

ჩვენ მიერ ამ დღის წარმატებით ჩატარებამ ტფილისის პროლეტარიატში დიდი გამოცოცხლება შეიტანა.

მრავალ სამრეწველო ქალაქში მუშები ჯგუფ-ჯგუფად იყრიდენ თავს, ეცნობოდენ მუშათა რევოლიუციონურ პრესის დღის კლასიურ მნიშვნელობას, ეწეოდენ აგიტაცია-პროპაგანდას „რკინის ფონდის" შესაქმნელად.

ასე ჩატარდა ჩვენში პირველად პროლეტარული „პრესის დღე".

...ჩქარა იფეთქა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა. დადგა მძაფრი რეაქცია, რასაც უდაოთ ხელი შეუწყეს ეგრედწოდებულ „ობორონეც" მენშევიკ - ესერებმა.

გაზეთი „პრავდა" დაიხურა. განადგურებულ იქნა რევოლიუციონური ორგანიზაციები. ციხეები აივსო პოლიტიკური ტუსაღებით.

ასეთი პირობები იყო ჩვენთვის მენშევიკების ბატონობის დროსაც.

მაგრამ ეს იყო წარსულში...

მაგრამ საბჭოთა კავშირის ძლევამოსილმა პროლეტარიატმა გადალახა ყოველივე ზღუდეები, დაამსხვრია მონარქიული მთავრობისა და ბურჟუაზიის მიერ შექმნილი მუშათა მონობის ბორკილები, აღადგინა და ააყვავა თავისი პრესა, და ახლა ეს პრესა თავზარ დამცემია მთელი მსოფლიოს მტაცებლებისათვის, ის დღეს სულიერ-გონებრივ საზრდოს აწვდის და პოლიტიკური ცოდნით ამტკიცებს სოციალიზმის მშენებელთა მრავალ მილიონიან მასებს.

სიმონ ჩიქოვანი

პოეზიის მიმდინარე საკითხები

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში პოეზიის უბანი საკმაოდ დაფასებული არ არის. ეს დაამტკიცა ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩატარებულმა პოეზიის საწარმოო თათბირმა. თათბირს ბევრ დადებითი თვისებებთან ერთად, აკლდა დღევანდელი პოეტური პროდუქციის კონკრეტული ანალიზი. უფრო გარკვევით: თათბირზე ვერ იქნა ჯეროვანად გამოაშკარავებული პოეტური პროდუქციის დღევანდელი ტენდენციები, მისი მიმართებანი და მკაფიოდ ვერ იქნა დასახული გზები პოეზიის მომავალი განვითარებისა.

რეკონსტრუქციულ პერიოდში მთლიანად მხატვრული ლიტერატურა და მასში შემავალი პოეზია პროლეტარიატის ხელში ქვეყნის გარდაქმნის ერთ-ერთი იარაღია: ამიტომაც ჩერნიშევსკის ფორმულა ხელოვნების შესახებ დღესაც სცოცხლობს: ზოგიერთი ნაწარმოები არამც თუ სახავს ცხოვრებას, არამედ ხშირად მის სახელმძღვანელოთაც გამოდგებაო. დღევანდელი განმარტება ამ ფორმულისა გვეუბნება, რომ პოეზიამ უნდა ასახოს რეკონსტრუქციული პერიოდის უდიდესი ძვრები და ამ ასახვით გვიჩვენოს ჩვენი ცხოვრების მომავალი პერსპექტივები. ამ ძვრების კონკრეტულ გამოსახულებას ჩვენ ვხედავთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ქვეყნის გარდაქმნაც ხდება სრულიად ახალი საწარმოო ფორმებში.

პროლეტარულმა სახელმწიფომ შექმნა სრულიად ახალი ფორმები შრომის ორგანიზაციისა და სრულიად ახალი დამოკიდებულება ადამიანისა ნივთის მიმართ. ხუთწლიან გეგმამ მიაღწია გამარჯვებას შრომის ახალი ფორმებით, რომელიც სოცშეჯიბრში, დამკვრელობაში და სხვა მრავალ სახეობაში გამოიხატა. ეს პროცესები აყალიბებს ახალ ადამიანს და ამ პროცესების შიგნით ხდება სოციალისტური ადამიანის ფორმაცია. პოეზიაც მოწოდებულია გვაჩვენოს ეს პროცესები და დაგვიხატოს ის ახალი დამოკიდებულება ადამიანისა, შრომისა და ნივთის მიმართ, რომელიც დღეს ყალიბდება და რომლის ყოველ წვრილმანში ბეზიმენსკის სიტყვით: შეიძლება დანახვა მსოფლიო რევოლიუციისა.

ამგვარად დღევანდელი პოეზია ცხოვრების გარდაქმნის პოეზია უნდა იქნეს.

ფილოსოფოსებთან ერთად ძველი პოეტებიც ცდილობდენ ცხოვრების ახსნას და არა მის გარდაქმნას. მთელი პოეზია ბაირონის, შელის „მონბლან"-ი, ბარათაშვილის „ფიქრები მტკვრის პირას" და სხვა მრავალი მსოფლიოს პოეტური სიტყვის შედევრები წარმოადგენენ არსებულის რომანტიულ ახსნას.

დღევანდელობა კი მოითხოვს ძველი პოეტის განიარაღებას და ახალი პოეტის ტიპის ჩამოყალიბებას; დღევანდელობა ითხოვს პოეტს, რომელიც იბრძვის პროლეტარიატთან ერთად ახალი ცხოვრების აშენებისათვის. ახალი პოეტის პოეტურმა პროდუქციამ უნდა გვაჩვენოს ახალი ადამიანის ფორმაცია, ახალი საწარმოო ურთიერთობანი და მთლიანად გვიჩვენოს ცხოვრების კომუნისტური გარდაქმნა.

ამიტომაც პოეტურ ნაწარმოებში მწყობრად და მთლიანი სახეობით ორგანიზაციაქმნილი უნდა იქნას მოვლენები დღევანდელი ცხოვრებისა და პოეტურ პროდუქციაში ამგვარ მწყობრიულ შინაარსობრიობით მოახდინოს გავლენა ცხოვრებაზე და მიიღოს მონაწილეობა ცხოვრების ორგანიზაციაში.

მართალია, როდესაც ერთი ახალგაზრდა პოეტი ლაპარაკობს: „უნდა აშენდეს ნივთი ბოლშევიკურ მსოფლმხედველობით". მაგრამ ის არ არის სრულყოფილი, როდესაც კმაყოფილდება ამ განცხადებით და თვით მხატვრულ პროდუქციაში არ გვიჩვენებს იმ პროცესს, როდესაც ახალი ადამიანები ბოლშევიკურ მსოფლმხედველობით აშენებენ ბოლშევიკურ ნივთს. დღევანდელი პოეზიის დაკვეთითი ამოცანაა გვიჩვენოს ბოლშევიკური შრომის ფორმები.

ხუთწლედის გმირის პოეტურ ჩვენებაში ჩვენ გვაინტერესებს არა მისი მარტო პორტრეტული სახე, არამედ გმირის ბოლშევიკური მსოფლმხედველობით ნაკარნახევი პროდუქციის შექმნის პროცესი. ამასთან ერთად—ის ფორმები ნივთის შემოქმედებისა, რომელიც მას ანსხვავებს ყველა სხვა დროის მუშაკებისაგან.

ჩვენთვის, როგორც პოეტისათვის, ამ საკითხის გარკვევით იქმნება პოეტური პროდუქციის განვითარების საკითხი.

პოეზიის ამოცანების ამგვარ გაგების შემდეგ ჩვენ ვამბობთ, რომ დღევანდელი პოეზია თავის უმთავრეს ხაზებში ისწრაფვის სიუჟეტურობისაკენ.

რას ნიშნავს სწრაფვა სიუჟეტურობისაკენ? და როგორ უნდა გავიგოთ სიუჟეტურობა პოეტური ნაწარმოებისა დღევანდელობაში?

სიუჟეტურობისაკენ სწრაფვა ნიშნავს ახალ საწარმოო ურთიერთობათა შესატყვის მხატვრულ ფორმების ძიებას, ე. ი. ახალი ადამიანი და მისი საწარმოო ურთიერთობანი ითხოულობს ახალ მხატვრულ გამოხატულებებს, ახალ მხატვრულ სიტყვას. ახალი შინაარსის არა მარტო მხატვრული აგიტაციის ჩვენება, არამედ მისი მხატვრული ასახვა და ჩვენება მისი შინაგანი ფორმებისა, ნიშნავს ნაწარმოების სიუჟეტურობას. რასაკვირველია, ეს სიუჟეტური ჩვენება გულისხმობს მის აგიტაციას, მაგრამ აქ აგიტაცია ხდება ახალი მასალის შესატყვისი სიუჟეტური ფორმის გამოძებნით და ცხოვრების სოციალისტური მოვლენების მხატვრული გაფორმებით და მწყობრობით.

სიუჟეტურობა ნიშნავს შინაარსის სტრუქტურულ გამოვლინებას, ის გვიჩვენებს პოეტურ ნაწარმოებში ახალი ადამიანის ფორმაციას და ამ ადამიანის ნივთების და მოვლენებისადმი დამოკიდებულების ფორმას. ამავალი კლასი სიუჟეტურობას აღწევს მხატვრულ ლიტერატურაში, როდესაც აღდგენითი პერიოდიდან უკვე განმტკიცების პერიოდს ასრულებს და ჰქმნის საკუთარ საწარმოო ურთიერთობას: ბოლშევიკურ ნივთს, ბოლშევიკურ განწყობილებით აშენებს.

არსებულ პოეტურ პროდუქციას თუ გადავხედავთ, წამოყენებულ დებულების დასადასტურებელ პოეტურ მასალებს საკმაოდ ვიპოვით და მათი განხილვით შეიძლება ამ დებულების ნათელი გარკვევა. ჩვენ ამ დებულების დამადასტურებელ პოეტურ პროდუქციათ მიგვაჩნია ბეზიმენსკის „ტრაგედიული ღამე", ნაროუშვილის „ხოლტ იჟუა აგიტაციას". კ. ლორთქიფანიძის „მუშა გამომგონებელი", სიმ. ჩიქოვანის „ალაზნის ბამბა" და კ. კალაძის უკანასკნელი ლექსები.

დასახელებულ ნაწარმოებთა მთლიან შეფასებას ჩვენ არ შეუდგებით, ეს არც წარმოადგენს ამ წერილის მიზანს და ამ დებულების ვრცელი ილუსტრაცია მომავალი წერილის მიზანია. ჩვენ მხოლოდ ეს ნაწარმოებები ავიღეთ, როგორც ნიმუშები, სადაც პირველად იქნა ცდები ნაჩვენები ყოფილიყო შრომის ახალი ფორმები, ახალი დამოკიდებულება ადამიანისა ნივთის მიმართ და თვითონ ახალი ადამიანის ფორმაცია. ყველ ეს ცდები მიმდინარეობს ახალი მხატვრული — ასახვითი ფორმების საშუალებით და ამიტომაც ყველა ესენი სიუჟეტურობისაკენ დაქანებული პოეტური ნაწარმოებებია.

ჩამოთვლილ ნაწარმოებებს შევადაროთ მთელი რიგი პოეტური პროდუქციისა, რომელიც შეიქნა რეკონსტრუქტიულ პერიოდამდე და მხატვრული განსხვავება მათი აღნაგობისა ყველასთვის ნათელი გახდება.

ავიღოთ გასული პერიოდის კლასიკური ნიმუში აგიტაციური ლექსებისა ვლ. მაიაკოვსკის შემოქმედების სახით. მაიაკოვსკის ლექსები რევოლიუციის წინა პერიოდში ხასიათდება უდიდესი პოლიტიკური სიმძაფრით და მხატვრული სიძლიერით, მაგრამ მას ამ ხნის განმავლობაში აქვს მხოლოდ აგიტაცია და ბრძოლა ახალი იდეისათვის, მაგრამ ამ იდეის სიუჟეტური გამოვლინება არსად არ ჩანს.

როგორ უნდა გავიგოთ ეს?

მაიაკოვსკის აქვს ნაჩვენები მთელი თავის გენიალობით პოეტის დამოკიდებულება და სიყვარული მებრძოლი კლასის და მისი ინტერესებისადმი. მაგრამ მან ვერ შესძლო და არც შეეძლო იმ პერიოდში ეჩვენებინა თვითონ ამ კლასის შიგნით ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულების სურათი და სიუჟეტური ფორმები კლასის მშენებლობისა.

აქედან ცხადია. სიუჟეტურობა გულისხმობს არა მარტო პოეტის ადამიანთა და მოვლენებისადმი დამოკიდებულების ჩვენებას, არამედ ის გულისხმობს თვით აღებულ ობიექტის შემოქმედებითი პროცესის ჩვენებას.

ამიტომაც ოდა და პათეთიური ლირიკა უკვე გზას უთმობს თხრობითი და მოყოლითი მანერის ლექსს პოეზიაში და იმპრესიონისტული მანერა მასალის ათვისებისა დღითი-დღე იდევნება პოეზიის არსენალიდან. აქედან დიალექტიური მეთოდის მომარჯვება პოეტურ პროდუქციაში მასალის სიუჟეტურ გამოცემას ნიშნავს და გამოსახატავ მასალის სიუჟეტურ თვისებების მხატვრული გამოსახვით ვლინდება. ეს არის ახალი საწარმოო ურთიერთობათა ჩვენება და მისი დინამიკის მხატვრული გამოხატვა.

მე არ ვამბობ, რომ ეს ერთად ერთი გზაა დღევანდელი პოეტური პროდუქციისა. ჩემის აზრით ეს მხოლოდ ძირითადია დღევანდელ პოეზიაში და დანარჩენი განხრები მხოლოდ ამ მთავარი დინების შტოებია.

როდესაც პოეზია სოციალიზმის მშენებელ ადამიანის და დროის სპეციფიკათა მხატვრულ გამოსახულების გზას დაადგა, მას კიდევ ბევრი ხარვეზები ჰქონდა ამოსავსები და ამიტომ მისი დღევანდელი შენაკადებიც ბუნებრივია.

პოეტის წინაშე დღეს დიდი ამოცანები სდგას. ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის ნეშტის მიმართა პროგრამული სიტყვით და პოეზია ციურ მადლად ჩასთვალა, მაგრამ იქვე დასძინა: პოეზია მძიმე ტვირთიც არისო.

მართლაც იარაღი პოეტური სიტყვისა მძიმე ტვირთია და ბევრი ამ იარაღის ხმარების დროს შეიძლება თვითონვე ჩაიკეცოს პოეზიის ამოცანის ჯეროვანი შეუთვისებლობით.

პოეტები უნდა გამოვიდენ ძველი პოეტური პროდუქციის ზეგავლენიდან. ძველი თეორეტიკოსები პოეზიის მიზნათ საგნების და მოვლენების საკრალობის გამოხატვას სახავდენ.

ფუტურისტებმა პირველად უარყვეს საკრალობის ძიება პოეზიაში და მაიაკოვსკის პირით გამოაცხადეს: ვიცხოვროთ ცოცხალი ცხოვრებით.

პირველი თაობის პროლეტ-პოეტებმა და ყოფილმა ფუტურისტებმა გაწიეს აგიტაცია რევოლიუციისა, პროლეტარიატის გამარჯვებისა და ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის.

ჩვენი თაობის პოეტების მოვალეობაა, საკრალობის ნაცვლად საწარმოო ურთიერთობათა და დღევანდელობაში მოყალიბე ადამიანის მხატვრული გადმოცემა. ახალი ადამიანის ფორმაციის შეწყობა და ამით ცხოვრების მშენებლობაში მონაწილეობის მიღება. ამ ამოცანის ნათელი გადაწყვეტისათვის საჭიროა პოეზიის თემატიური მასალის მრავალფეროვანება და სიუხვე. პოეტის თემატიურ მასალის სიმცირე და კრიზისი მოწმობს პოეტის პოლიტიკურად ჩამორჩენას და მის დაშორებას აქტუალურ საკითხებისადმი. როდესაც ვლაპარაკობთ თემატიურ მრავალფეროვანებაზე, ეს ნიშნავს პოლიტიკურ სიმახვილეს პოეტისას და ეს დღევანდელ ამოცანების მიმართ მომზადებული შეხვედრის პირველი საწინდარია. დღევანდელობაში ყოველი ახალი თემატიური მასალა შედეგია ცხოვრებაში წამოჭრილ დღიურ პრობლემისა. თუ პოეტი დღევანდელობის მიერ წამოყენებულ პრობლემების მიმართ მახვილია და გონიერულად ითვისებს მას, მაშინ ის თემატიურადაც მდიდარია და მხატვრულადაც ნოვატორი.

პუშკინი ამბობდა ბარატინსკიზე: «Он у нас оригинален—ибо мыслит». პრობლემების მახვილი გაგება პირველი დამადასტურებელია პოეტის აზროვნების დიაპაზონისა და პირველი საფუძველი მისი ნოვატორობისა. ეს ქმნის პოეტში თემატიურ სიუხვესაც.

დღევანდელობაში, დღევანდელი პრობლემების ჯეროვანი გადაჭრა და პასუხის გაცემა მოითხოვს აგრეთვე, დღევანდელ თემატიურ მასალისადმი უდიდეს ყურადღებას და ამ მასალის ყოველმხრივ შესწავლას.

ეს ადვილი გასაგებია.

სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობაში წამოჭრილი პრობლემები მოითხოვენ გაშუქებას დღევანდელი თემატიური მასალის მიხედვით.

თუ წინედ შეიძლებოდა ახალი პრობლემების ძველი მასალების მომარჯვებით გაშუქება, დღეს ეს შეუძლებელია. ტოლსტოის შეეძლო თავის დროის პრობლემები: პიროვნების როლი ისტორიაში, სამხედრო სტრატეგიის საკითხები და სხვ. გაეშუქებია მის დროსთან დაშორებულ ნაპოლეონის დროის თემატიურ მასალით. აკაკი წერეთელს მე-19 საუკუნეში პატრიოტიზმის გასაღვივებლად მიემართა ისტორიისათვის და დაეწერა მისთვის დღიური პრობლემის გადამწყვეტი ნაწარმოები: „თორნიკე ერისთავი".

როგორც ვხედავთ დასახელებულ მაგალითებში პრობლემები ავტორისათვის ყოველთვის დღიურია და დროული, მხოლოდ თემატიური მასალა ძველი და ავტორის დროსთან დაკავშირებით დისტანცია ქმნილი.

დღეს საკითხი სხვა მხრივ დგას. თუ ჩვენ გვინდა დავხატოთ ახალი სოციალისტური ადამიანის ფორმაცია სოფლად, ამისათვის, ჩვენ უნდა მივცეთ ახალი საკოლმეურნეო მშენებლობის სურათები და ან საერთო ის გარემოცვა დღევანდელობისა, რომელშიაც უხდება მოღვაწეობა ახალ ადამიანს. თუ ჩვენ დავისახავთ პრობლემას ახალი ადამიანისას ქალაქში, ამისათვის საჭირო იქნება ახალი საწარმოო ურთიერთობანი, რადგან ხუთწლედის გმირი სხვა გარემოცვაში და სხვა პირობებში არ წარმოიდგინება და არ არის შესაძლებელი. მაგალითებიდან ცხადია, დღევანდელობის პრობლემები მხატვრულ ლიტერატურაში დაკავშირებულია უშუალო დღევანდელ თემატიურ მასალასთან.

ამიტომაც ჩვენის აზრით, თემატიურ მასალის სიუხვე ნიშნავს პოეტის პოლიტიკურ სიმახვილეს. პოეტის პოლიტიკური სიმახვილე გამოიხატება დღიურ პრობლემებისადმი მძაფრ ყურადღებით და თემატიური მარაგის ქონებით.

ხსენებულ თემატიურ მასალის პოეტური სიტყვით გადმოცემა გულისხმობს ნოვატორობის აუცილებლობასაც მიმდინარე პოეზიაში. ნოვატორობა ჩვენ გვესმის როგორც პოეტის ახალი მსოფლმხედველობით შეიარაღება, ისე მიმდინარე მასალის შესატყვის ფორმებში გამოსახვა. ამ მხრივ საკითხის დაყენება ფორმის რაობის შესახებ, სრულიად არ ნიშნავს ფორმალიზმს, ან ფორმის საკითხებისადმი ზედმეტ გატაცებას.

ახალი მასალის პოეტური ორგანიზაცია მოითხოვს პოეტურ ნაწარმოების ყოველ დეტალის პოლიტიკურად გამართვას და მხატვრულად გამძაფრებას. ე. ი. პოეტური გამოხატულების სიახლეს და შინაარსობრივობის ოსტატურად გადმოცემას.

რამდენადაც მსოფლმხედველობით ჩამორჩენილია პოეტი, იმდენად მისი პოეტური პროდუქციაც რიტმიულად ინერტიულია და დღევანდელ ცხოვრების ტემპისათვის შეუსაბამო. მართალია ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ფორმის უფუნქციონალო გატაცებას, რომელიც თვითმიზნობრივ ფორმამდე მიდის და ემთხვევა ესთეტიზმს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ბრძოლა პოეტური ფრონტზე გაუბრალოების წინააღმდეგაც. გაუბრალოება პოეტურ გამოხატვათა საშუალებების და პრობლემების გადაწყვეტის პოეტურ ნაწარმოებებში უკარგავს პოეზიას ხარისხოვნულ სიმაღლეს და აქცევს მთლიან კულტურის დენასთან შეუფარდებით. ამიტომაც დაკვეთითი წესით საჭიროა პოეზიის ფრონტზე გამახვილებული იქნას ყურადღება პოეზიის ფორმის საკითხების მიმართ. დღევანდელი პოეტური სიტყვის აღნაგობა უნდა მოხდეს ეპოქის შინაარსობრიობასთან შეფარდებით.

მაიაკოვსკი ამბობდა, რომ პოეზია უმაღლესი და უდიდესი წინააღმდეგობის ხელოვნებაა. რეკონსტრუქტიულ პერიოდის პოეტების მოვალეობაა, ეს იარაღი დროის შესაფერისად გარდაქმნან და პროლეტარიატის ხელში გამოსადეგ და აუცილებელ იარაღად გახადონ. სათანადოთ საჭიროა არა მარტო რიტმიული გარდაქმნა არსებულ ლექსიკური დენათა, არამედ საჭიროა ახალი პოეტური ლექსიკონის შექმნა და პოეტური ნაწარმოებების დღევანდელი სიტყვიერი მასალით გაჟღენთა. თემატიურ მასალას პოეზიაში მოჰყვება თავის სიტყვიერი გამოხატულების ლექსიკონი; ხშირად პოეტები ებრძვიან ახალ სიტყვიერ მასალას და პოეტურ ნაწარმოებს მწიგნობრულობისაკენ წარმართავენ ხოლმე. ეს ხდება თემის ზედმეტი ესთეტიზაციის სურვილით.

დღევანდელობა კი მოითხოვს დღევანდელ საზოგადოებრივობაში მომუშავე სიტყვიერ იარაღი პოეზიაში აყვანილი იქნეს ხელოვნების ხარისხში და მისი საშუალებით გადაწყვეტილი იქნეს პოეტურ ნაწარმოებში დასმული პრობლემა. პოეზიაში ახალი ყოფა შედის, არა მარტო თემატიური მასალით, არამედ სიტყვიერი მასალითაც; ახალი სიტყვიერი მასალა ორგანიზებული პოეტური ხედვით უფრო ნათლად ააშკარავებს პოეტურ ნაწარმოებში დღევანდელობის სახეს. სიტყვის პრობლემა დიდი საკითხია პოეზიის ფრონტზე. ჩვენ მხოლოდ საკითხის დასმით ვკმაყოფილდებით ამ შემთხვევაში. ზემოთ აღნიშნული იყო ნოვატორობის მნიშვნელობა ახალი მასალის აღნაგობის დროს. პოეტური სიტყვის პრობლემაც დაკავშირებულია ნოვატორობის ძირეულ მიღწევებთან. რამდენად პოეტი ნოვატორია მასში პოეტური ენაც დაკავშირებულია გამოსახატავ მასალასთან და მთლიანად ეპოქის დენასთან.

აქედან იბადება პოეტური ნაწარმოების და მკითხველის ურთიერთობა. თუ პოეტური ნაწარმოები ეხება სოფლის სამეურნეო გარდაქმნის საკითხს თემატიურად, საჭიროა მისი სიტყვიერი მასალაც შეეფარდებოდეს ამ თემის გარემოს და ამავე დროს მისი აღნაგობაც მოხდეს სოფლის მკითხველთათვის გასაგებათ. ეს სრულიად არ ნიშნავს პოეტურ ნაწარმოების ხარისხოვნულად ჩამოქვეითების მოთხოვნას.

ზემოთ დასახული საკითხები სქემატიურად, მაგრამ მაინც გვეუბნება პოეტური კადრების წინაშე მდგომ ამოცანების სირთულეს. პოეტები ყოველთვის თავის ეპოქის და თავის კლასის მოწინავე რიგებში იდგნენ. ამიტომ დასახა ილიამ პოეზია მძიმე ტვირთად და არც გასაკვირია, რომ ამ სიტყვით მან ბარათაშვილს მიმართა. ბარათაშვილმა პირველად დაუმტკიცა [illegible] პოეზიის მოყვარულთ დასავლე[illegible] რომანტიულ გონიერების სიმძლავრე [illegible] სულ მოქარგულ ლარნაკებთან შედარებით. აკაკი გარემოების საყვირი იყო და ილია თავის კლასის გონებრივ [illegible] წარმოადგენდა.

ეს მაგალითები გვეუბნება, რომ პოეტური კადრების მომზადების და ახალი პოეტის კულტურულ ამაღლების აუცილებლობის შესახებ. სოციალიზმის მშენებელ კლასს ყველაზე პროგრესიული ისტორიის მანძილზე, სჭირია თავის შესაფერი პოეტური მასა. ამიტომ დგება დღეს ახალი პოეტის ტიპის პრობლემა და პოეტური კადრის გადასინჯვის საკითხი.

„კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდება"—ნათქვამია ქართულ ანდაზით და სწორედ პოეტის პროდუქციის ღირებულებაც დამოკიდებულია ავტორის პოეტურ და კულტურულ შესაძლებლობაზე.

ყოველივე თქმულის გათვალისწინების შემდეგ, შეიძლება ქართულ ლექსიურ პროდუქციაზე კრიტიკული თვალის გადავლება და მის საერთო ღირებულების შეფასება.

მართალია ეს ჩემთვის, პოეტისათვის უხერხულია და მძიმე მოვალეობაც. მაინც შევეცდები შემდეგ წერილში ამ წამოყენებული დებულებების მიხედვით გავხსნა რკალში დღევანდელი პოეზიისა და ქართულ მასალებზე დაყრდნობით გავამართლო ჩემს მიერ წამოყენებული დებულებები მიმდინარე პოეზიის შესახებ.

ოსმალეთის და საბჭოთა კავშირის მწერლების და ჟურნალისტების შეხვედრა

3 მაისს მოსკოვის მეცნიერთა სახლში ჟურნალ - გაზეთების გაერთიანების თავმჯდომარემ ამხ. **მიხ. კოლცოვმა** მოაწყო ოსმალეთის პრესის წარმომადგენელთა მიღება.

მიღებას დაესწრნენ ოსმალო სტუმრები გარეშე საქმეთა მინისტრის დ-რ **ტეფფიკ რუშტი-ბეის** მეთაურობით, ოსმალეთის ელჩი მოსკოვში **რაგიბ-ბეი, მაქსიმ გორკი**, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ლიტვინოვი**, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ოსმალეთში ამხ. **სურიცი**, ამხ. **პ. მ. კერჟენცევი, მ. ა. სავე-ლიევი, ი. გ. დოლეცკი, კარლ რადეკი, მ. ფ. ანდრეევა, ბახუტოვი, ლეონიდ ლეონოვი, ეფიმ ზოზულია, ს. კირსანოვი, ს. პროკოფიევა, მეიერხოლდი, ტაიროვი** და საბჭოთა პრესის, ლიტერატურის და ხელოვნების მთელი რიგი სხვა წარმომადგენლები.

ოსმალეთის და საბჭოთა მწერლების და ლიტერატორების შეხვედრას მეტად ცხოველი ხასიათი ჰქონდა. ჩაის დროს მოხდა მაქსიმ გორკის საუბარი ტეფფიკ რუშტი-ბეისთან და ოსმალეთის მწერლებთან და კრიტიკოსებთან საბჭოთა, ოსმალეთის და საერთაშორისო ლიტერატურის გზების შესახებ. ცნობილი წიგნის „ახალი რუსეთი“-ს ავტორმა **ფალიხ რიფკი-ბეიმ** მაქსიმ გორკის წარუდგინა **რუშენ ეშრეფ-ბეი**, როგორც ოსმალეთის ლიტერატორების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ გაეცნო ოსმალო მკითხველებისათვის საბჭოთა მწერლების და განსაკუთრებით გორკის ნაწერები.

რუშენ ეშრეფ-ბეიმ ჩამოთვალა რა მის მიერ თურქულ ენაზე ნათარგმნი მაქსიმ გორკის ნაწარმოებები, აღნიშნა, რომ მწერლებიდან მაქსიმ გორკი ყველაზე უფრო პოპულიარულია ოსმალეთში. მან ეს ახსნა იმით, რომ გორკის შემოქმედება ეხება ადამიანთა ისეთ დამახასიათებელ ტიპებს და საბჭოთა კავშირის ისეთ ოლქებს, რომლებიც ყველაზე უფრო ადვილი გასაგებია თურქებისათვის. ეს არის — საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილის ოლქები, ვოლგა, ყირიმი, ნავთსადგურები, როგორც მაგ., ოდესა და სხვა.

რუშენ ეშრეფ-ბეის აზრით, რუსეთის ლიტერატურაში არსებობს თავისებური გეოგრაფია: გოგოლი თავის თემებს იღებდა უკრაინის ცხოვრებიდან, ტოლსტოი—მოსკოვის ოლქიდან, დოსტოევსკი — ჩრდილოეთიდან, ციმბირიდან და განსაკუთრებით ბიუროკრატიულ პეტროგრადიდან.

მაქსიმ გორკიმ ამაზე უპასუხა, რომ რუშენ-ეშრეფ-ბეის აზრს აქვს ერთგვარი საფუძველი, რადგან წარსულში რუსული ლიტერატურა იყო მმართველი კლასების ლიტერატურა და ეხებოდა მხოლოდ განსაზღვრულ ოლქებს, სადაც ვითარდებოდა ამ კლასების კულტურა. ასე მაგ. თავადაზნაურობის ლიტერატურა, რომელიც თავმოყრილი იყო უმთავრესად ცენტრალურ გუბერნიებში — მოსკოვის, კალუგის, ორლოვის, ტულის, ტვერის და სხვ. გუბერნიებში, ძირითადში ამ რაიონებს ეხებოდა. ამიტომ ამ ნაწარმოებების ტიპებიც, განსაკუთრებით კი პეიზაჟი მეტად ერთფეროვანია.

ახლამად კი, — დაუმატა გორკიმ, — ჩვენ გვყავს 30.000-მდე ახალი მწერალი, პოეტი და ნარკვევებზე მომუშავენი, რომლებიც გაფანტული არიან მთელს თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირში. ეს მასა მხოლოდ ეხლა ფიქრობს, აზროვნობს და ეხმაურება ყველა იმას, რაც წარმოშვა ოქტომბრის რევოლიუციამ და ახალმა სოციალისტურმა წყობილებამ, ეხლა ეხმაურება ბუნების იმ უსაზღვრო მრავალფეროვნებას, რომელსაც ხედავენ ეს ახალი მწერლები და პოეტები.

მაშინ რუშენ ეშრეფ-ბეიმ მაქსიმ გორკის მიმართა კითხვით — თუ როგორ „ყალიბდება“ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურა.

— უნდა ვსთქვათ, როგორ ყალიბდება კი არა, არამედ როგორ აღმოცენდა ეს ახალი ლიტერატურა, — უპასუხა მაქსიმ გორკიმ. ეს ადვილად გასაგები პროცესია. რევოლიუციამდე საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდესი მასა — თავის ძირითად ნაწილში გლეხური მასა — დამონებული იყო ძველი პოლიციური რეჟიმის მიერ. ხალხს არ შეეძლო ეცხოვრა ინტელექტუალური ცხოვრებით. მას აიძულებდნენ გაეკეთებია ათასგვარი უსარგებლო რამ, მათ შორის გზავნიდნენ საომრად თურქების წინააღმდეგ. ოქტომბრის რევოლიუციამ და ახალმა წესწყობილებამ განსაკუთრებით ძლიერი ფსიქოლოგიური ბიძგი მისცა ამ მასებს, საშუალება მისცა მათ გამოემჟღავნებიათ თავისი ძალები, გადაუშალა მათ სრულიად ახალი ჰორიზონტები. მათ წინაშე ღიაა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების კარები და ამათგან იქმნება კულტურული ხალხის ახალი კადრები. ყველა მათ საშუალება მიეცათ ილაპარაკონ და სწერონ ის, რაც მათ აინტერესებთ. სავსებით გასაგებია, რომ სწორედ ისინი ქმნიან ახალ ლიტერატურას. მე არ დავმალავ, მთელ რიგ შემთხვევებში ისინი ტეხნიკურად მეტად სუსტი და გამოუცდელი არიან.

მაგრამ თანდათან ხშირი ხდება განსაკუთრებული ხასიათის მოვლენები. აი მაგალითიც: 19 წლის ახალგაზრდამ დასწერა რომანი, რომლის გმირადაც გამოიყვანა გერმანელი ინჟინერ-ქიმიკოსი. რომანი იწყება მანჰაიმში. შემდეგ ავტორს თავისი გმირი გადაყავს საბჭოთა კავშირის დამკვრელთა წრეში, ენტუზიაზმის ატმოსფერაში. და მიუხედავად მრავალ დეფექტებისა, გამოვიდა მშვენიერი წიგნი. თუ ავტორი შემდეგში კისერს არ მოიტეხს, მისგან გამოვა დიდი მწერალი. მე ვლაპარაკობ თული გერმანზე.

შემდეგ (გორკის მიმართავს ოსმალეთის ცნობილი ლიტერატორი **იაკუბ კადრი-ბეი**.

—თქვენი სიტყვებიდან, — ამბობს ის,— მე ისე გავიგე, რომ თქვენ გირჩევნიათ ხალხის მასების მიერ შექმნილი ლიტერატურა, რომელშიც არ არის განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის შედეგი. ჩვენ ოსმალეთშიც ხალხური ლიტერატურის უამრავი შემოქმედნი გვყავს, რომლებიც გამოვიდნენ ხალხიდან და თავისი სახელიც კი არ დაუტოვებიათ შთამომავლობისათვის. იაკუბ კადრი-ბეის აზრით, საბჭოთა კავშირში არა მარტო იქმნება ახალი ლიტერატურა, არამედ ისახება ახალი კულტურაც.

უპასუხებს რა მას გორკი, აცნობს ოსმალო მწერლებს ახალი ლიტერატურის მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. „ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს, — ამბობს ის, — ჯერ კიდევ აკლიათ წერის ხერხების ცოდნა. რეალისტური ფორმაც აგრეთვე არ აკმაყოფილებს მთლიანად ჩვენს ავტორებს. აქ ახალი ცხოვრების ასახვა, რომელიც ჩვენში იქმნება, არ შეიძლება რეალიზმის ხერხებით. ეს ხერხები არ გამოხატავენ ჩვენს სინამდვილის პათოსს. რეალიზმი და პათოსი ვერ ეგუებიან ერთმანეთს. ლიტერატურული ხერხები რეალიზმის მეთოდთან შედარებით ერთგვარ ამაღლებას მოითხოვენ. ჩვენი სინამდვილე გმირულია და ამიტომ რომანტიული. ცეკას უკანასკნელი გადაწყვეტილება ლიტერატურის საკითხებზე ახალ პერსპექტივებს შლის ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურის ძლიერი ზრდისათვის.

— სხვანაირად რომ ვსთქვათ, — შენიშნავს იაკუბ კადრი-ბეი, — თქვენში ეხლა იქმნება ერთიანი ლიტერატურული სკოლა?

— არა, — უპასუხებს გორკი, — ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ცხოვრება იმდენად მრავალფეროვანია, რომ მხატვრებს არ მოეთხოვებათ ერთიანი ხერხები და ფორმები. სინამდვილე, როგორც მე უკვე ვსთქვი, მათგან მოითხოვს ისეთ ასახვას, რომელიც მთლიანად გამოხატავდეს ეპოქას.

— ნება მიბოძეთ, — ამბობს ტეფფიკ რუშტი-ბეი, მიმართავს რა მაქსიმ გორკის, — გამოვსთქვა ამ საკითხზე ჩემი პირადი შეხედულება, თუმცა მე პროფანი ვარ ლიტერატურის დარგში.

ჩემი გრძნობები მთლიანად ეთანხმება გორკის აზრს ახალი ლიტერატურის აღმოცენებისა და გზების შესახებ.

მე უნდა ყურადღება მივაქციო მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ მეფის მთავრობა თავის ხალხებს ამხედრებდა ოსმალების წინააღმდეგ. ეს სავსებით მართალია, როდესაც ევროპა ამზადებდა ოტომანთა იმპერიის დაყოფას, მან მეფის რუსეთს დააკისრა ჟანდარმის როლი ოსმალეთის მიმართ, და ფაქტიურად ევროპამ კი არა რუსეთმა გაანადგურა სულთანის ოსმალეთი. მაგრამ ოსმალეთის ჩაბმა ომში თავის მხრივ გადაიქცა მეფის იმპერიის დაცემის ერთ-ერთ მიზეზათ. ორივე ქვეყანაში მომხდარმა რევოლიუციამ გადაჭრით შესცვალა მათი საგარეო - პოლიტიკური სახე. ძველი მტრობისაგან არაფერი არ დარჩა.

სინამდვილე რომ ვსთქვათ, მხოლოდ ბოლშევიკებმა შექმნეს ხალხთა ნამდვილი მთლიანობა ყოფილი მეფის რუსეთის ტერიტორიაზე და ნამდვილი ხალხური მთავრობა, როგორც ქემალისტებმა, მათ მიერ მოხდენილი რევოლიუციის შედეგად, წარმოშვეს ოსმალეთის თანამედროვე ნაციონალური მთავრობა. მას შემდეგ, რაც ჩვენი ხალხები თვითონ განაგებენ თავის ბედს, მათ შექმნეს ისეთი მთავრობები, რომლებმაც ერთმანეთის ინტერესების გაგების საფუძველზე გამონახეს წერტილები გაერთიანებული მოქმედებისათვის. მე ვფიქრობ, რომ ლიტერატურაშიც მივბაძოთ ამ მაგალითს, ე. ი. აუცილებელია გამოვნახოთ ერთმანეთის გაგების და მთლიანობის გზები.

დასასრულ ტეფფიკ რუშტი-ბეიმ დაუმატა, რომ ის კითხულობდა და დღესაც კითხულობს გორკის ნაწარმოებს, რომლებიც მას მეტად აღელვებენ.

საბჭოთა და ოსმალეთის მწერლების შემდგომ საუბარში აუცილებლად იქნა ცნობილი ახლო მომავალში გამოცემული იქნას ოსმალო მწერლების მთელი რიგი ნაწარმოებები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენაზე და საბჭოთა მწერლების ნაწერები თურქულ ენაზე.

1 მაისის დღესასწაული ტფილისში, ტრიბუნაზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. პ. მელაძე, ფ. მახარაძე, სმოლინი, და ლ. ბერია,

გიორგი ლეონიძე

პოეტის შენიშვნები

ნაწილი პირველი

1.

კარგია საღამოთი,
გაქვს დახუჭული თვალები.
სიმშვიდის მალამოთი
ცვივა
ღამის ნაფერთალები.
ჩაიდე ვასალები!
როგორ მოიგდო ოთახმა
ბინდის ნალები?
სწეხარ—
კალი ოტროველა,
გაფხრეწავ ჯავშანს,—
როგორც თხის გუდას,
რკინას—რკინაზე.
. . .
და გადიქცევი
შვიდი წლის ბავშათ,
გულში გწოვს რაღაც
იის სინაზე.
შეგეპარება
და ტვინს მობუდავს.
რძეშეფერქვეული
ბავშობის ქარი
ოქროს არტახში
გარწევდეს მგონი;
ჩაგშრიალებენ ლერწმოვანები,
გულზედ ავარდა
ოცნების ბოლი.
— კიდევ გაქვს გული
შეღონებული,
გულსაც ხომ დათბა?
გაჩნდება
მთები შეღვინებული,
შალაშინ გაკრული ტბა...

დაგავიწყდება
ქუჩა—საზვავე,
ქუჩა—სალვარე.
გახურია ოთახი,
როგორც ბალდახინი,
ბინდი კი მოდის
ზამბახივით—
ირმის რძეებით,
მთვარის შაქარით...
შენ—დანეშტებული,
ნამუთაქარი,
ვით უნამუშავრო
მიწის ნაკვეთი,
გდიხარ...
და ოცნებას ვეღარ ელევი.
ბინდი კი
მოქშუის მწივანი გველივით,
გალესავს ფანჯრებს
და კარებს დაკეტავს.
ბეჭის ფრთებიდან
მოკიდებული,
სხეული ტკბილათ
ჩაგინახშირა.
... ასეა ხშირად!

2.

შემოვარდება ელექტრო შუქი,
— ნათელი მხიარული,
როგორც ჭაბუკი...
დაჯდება მაგიდაზე,
ხელით აგიტაცებს.
დაგლამპრავს, დაგწვიმს,
და ყოველ მხარეს
შეგიმხაპუნებს
დღევანდელ ჰაერს
გაჰფანტავს ზამბახს
და ატავიზმსა,
უცბად შეგრცხვება
შენი თავისა...

3.

შამაიხუვლა.
გადასწია ლექსის წერტილი,
დაჯდა, ჩაგცქერის:
შემოგაჯახა—
ნაჯიხვარ მთებიდან
[illegible] ტაბიყით ჩანჩქერი,
მუცლიან ღრუბლებს ჩამოწყვეტილი.
შემოგაჩქეფა დღევანდელი მზე,
მთებში რო ჩაეცა,
დაგცხრილა,
და გული დაგიპო ცხრაკეცად...
ავარდი,
ფანჯარას ეცემი ქუჩისკენ,
იქაც მჩქერვალე ჩანჩქერებია,
ხალხი სიცოცხლეს დასჩქარებია,
იქაც ცახცახებს
სიცოცხლის სული
და შენი ლექსიც
თვალს აბრიალებს,
სიტყვა ნიშანზედ არი მისული!

4.

მგოსანო,
პირი გაქვს ოქროს მწვეთავი,
ჩანგი—
ვარდის წყალში იადონის გული.
ხალხის მელამპრევ:
რათა გაქვს ნეტავი,
სკამი სულ ბუხართან დგმული...
ჯდომით გასუქდები, ბუხარს რომ უყურო,
პოეტი არ ვარგა ცხენზედ მსუქანი;*)
აღარ მოგეწყინა მყუდრო და ფუღურო,
პატარა სიტყვის პატარა დუქანი?
მღამიობი ხარ
თვალგაფიცრული,
ბუხართან ოცნებას იგონებ?
სთქვი, ჭკვაგარკვეულით,
დღევანდელ მზეს უმზერ,
თუ
ვარსკვლავებზე დამდნარ ლითონებს,
იცი, რომ
თოვლში დამწყვდეულ ყანასებრ
შენც დამწყვდეული
გექნება გული,
თუ კი მგოსანო,
ხალხის მელამპრევ,
ბუხართან სკამი გექნება დგმული.
ბუხარმა იცის დარდი რტოებად,
დამბლა, ფილენჯი,
ნეკრესის ქარი,
იცის ლექსების გატოროლება,
ცრემლის მაწონი
და ნალექარი.
ბუხარი ხოხბის საბუდარია,
შენ—
უნდა ქარიშხალს
გული ახალო.
ლექსგანაკრავი
თუ ჩამოვარდები,
სისხლი გაცხოვბილი
დაახმეს ახალუხს.
ერიდე ბუხარს—
ანთებულ კუბოს,
არ დაახანო!

5.

შრკვდა ოთახი!
გვამი გაპიმა
კელაპტარიდან—
კელაპტარამდე.
გაციებულან
ტკბილი ბუხრები,
სადაც
გაძარცულ
სულს აფარებდნენ.
არ გვყავს ოთახი,
არც გვეყოლება,
ჩალეწილია
ყველა ნიშნებით,
ვაი, ოთახი—ოთახიანი,
ბადლინჯოებით,
ყურთბალიშებით.
ვაი, ოთახი,
ხალიჩის შუქით,
სახლის მერცხალი
და ხეჟვანი
— გოგირდის ბუქით,
შიგ დაჰხვინებს
ქარი მხვივანი.
მგოსანო, შესდექ,
საითდა ილტვი?
ოთახს ხანძარი
გადაებურა.
ამოჭვარტლულა
ბულბულის ფილტვი,
შროშნის გალობა
გათავებულა!
. . .
. . .

6.

მგოსანო,
ლექსის მერძეულო,
სიტყვის მეკალმახე
რამდენი გუგუნი,
რამდენი სიმღერა
უდროვოდ დამარხე.
მრავალი ლექსი,
კალამს შაეჭრა
და სიმღერებშიც
ბევრი იოფლე,
საზანდარს
არ ჰქონდა მაზანდა,
ტიროდა სიობლეს.
საზანდარს
გულშიგნით
ჰქონოდა ჭრილობა,
დაშინებული
ლექსის სახსარი.
ლექსთაშენის რაში
დაგიწუნეს დახედნილობა,
როდესაც სიტყვა
სათქმელად ალძარი...
გითხრეს—
გქონია ვადა გასული,
დაფესვებულა შენში წარსული,
მოგიწოვია ძველი ჯიქანი,
წარსულში დგეხარ სიგრძე-სიგანით
და ხელ უხლებლად,
დატვირთული ხარ ძველ სიმღერებით
როგორც ხე—
მუმლით შეიხურხლება.
ჩამოიბლერტე
მუმლი და ყარტლი,
თორემ გახმები,
გელის გაქრობა!
ახალ ცხოვრების
ახალი მადლით
ასწიე ლექსის მოქალაქობა!

7

კალამში დარდი
შეზრომარულა,
და ხშირად კალამს წვეთი არა დის,
დაგამტვრევ კალამო,
თუ არ დასველდები,
ყვავივით დასდიხარ
მეორე პწკარამდის.
ომში შემდგარი
ცხენისთვის—მხედარს
შუბი დაუცდა
მუცელში ტარამდის.
ახე უთხარი პოეტო კალამს
თუ ფალავნობა შენი დაზოგოს,
მელანის ბელტი სიმს მოგირკალავს,,
დაემსგავსება ბებერა სოკოს.
ყულმოტეხილად მღერა ძნელია.
უწამლავია ლექსების ჭვალი,
თუ გსურს ნიშანზე მივიდეს სიტყვა,
მზეს გაუსწორე—დღევანდელს თვალი.
და თუ ცხოვრება ღონიერია,
მაჯაშიც მისი გექნება ღონე,
ნუ გამაგონებ დაცემის ხმაურს
გაჭენებულის ხმა გამაგონე!

*) კარლოს IX— პოეტი რონსარის მფარველი —ამბობდა: „პოეტი არ უნდა გასუქდეს ცხენზე მეტად. უნდა ასაზრდოო და არ კი ასუქო“.

ილო მოსაშვილი

„ალაზან-რამი“

ხაშალ თეფაზე

შუახნის ლეკი ბაშირ ბეგ იყო ჩვენი მასპინძელი, ხოლო ახალგაზრდა ლეკის ქალი ჰაჯარ—მისი მეუღლე, ყორნისფერ იორღაზე მიგვიძღოდა წინ ალაზნის კიდეზე — ალიაბათისკენ. ჩვენ გვახლდა კიდევ რამდენიმე ლეკი ცხენოსანი და ერთი ჩემი ძმობილი ფშაველი ვინმე, რომელიც დიდი ხანია მას აქეთ, აქვე ალაზნის პირას დასაფლავებულმა მოსისხლეებმა მოჰკლეს.

ჩაბნელებული ღამე იყო და მდინარის ყურეებიდან მშიერი მგლების გაბმული ღმუილი ისმოდა.

მაშინ პირველად ვნახე ეს სანაპირო, რომელსაც ზევიდან დასცქერის ლეგენდარული თამარის ციხე, ხოლო ირგვლივ გაბმული ძეძვნარი არტყია.

გვალვა იცოდა საშინელი. დასიცხული მწყემსები საქონლის ნაფეხარში გაშმაგებით ლოკავდენ აქა-იქ ჩარჩენილ ნაწვიმარ სისველეს. გადაბუგულ შამბნარში კი წითელი გველები ნადირობდენ დაფუშმულ ჩიტის ბარტყებზე..

*

თოთხმეტი წელია მას შემდეგ და მე შემთხვევამ ისევ გადმოისროლა ცნობილ „ხაშალ თეფაზე“, ყარაღაჯის ველის ამ მიყრუებულ კუთხეში, სადაც ამჟამად ალაზანრამის საბჭოთა მეურნეობას გაუშლია თავისი მუშაობა.

ჩვენს თვალს შორიდანვე შეეგება თხუთმეტამდე ახლათახალი ნაგებობა, — უპირატესად ერთი მეორეზე რიგ-რიგად მოყოლებული ფიცრული შენობები. ეს არის ახლად ჩასახული პატარა მუშური ქალაქი, რომელიც თითქმის სრულიად მოწყვეტილია ქვეყანას. არც რიგიანი გზა, არც მუდმივი სატელეფონო ხაზი, არც ფოსტა. როგორც უდაბნოს ოაზისი, ისე გასცქერის ხაშალ თეფა ირგვლივ ხელის გულივით გაშლილ ტრიალ მინდვრებს.

პირველი, ვინც შემეგება — პუტილოველი მუშაა. დიახ ნუ გაგიკვირდებათ, ნამდვილად პუტილოველი მუშა — აქ, ამ მივარდნილ ყარაღაჯის ველზე, ალაზნის პირას. ამხ. იოსებ თურქოშვილი — პატარაობაში, უდედმამოდ გაჭყლეტია რუსეთის გზას და ბოლოს ალვანელ თუშს, ხანჯლისა და სალამურის კაცს, პუტილოვის ქარხანაში ამოუყვია თავი. და ბოლოს უნაპირო ზღვაში გადავარდნილი ნაფოტი — ტალღამ ისევ თავის სამშობლო მხარეში გადმოისროლა.

როგორ?

უცნაური და რთული მანქანაა „დეკორტიკატორი“. ეს მანქანა კენაფის და რამის ღეროს ისე სუფთად აცლის ქერქს, და ძაფად ახვევს, რომ არც ერთ ბეწვს ტყუილუბრალოდ არ ჰკარგავს. ეს ურთულესი მანქანა ლენინგრადიდან გამოგზავნეს ალაზანრამის მეურნეობაში, ხოლო როგორც ერთი საუკეთესო მანქანის შემკრება — მას თან ახლეს ამხ. თურქოშვილი.

ამხ. თურქოშვილს ქართული არაფერი კი ეხერხება. მას აღარც თუშური თეძა უმძიმებს მხრებს, აღარც სალამურის თელები ასწავლს. ეს გამოცდილი ოსტატის თვალით აკვლევს ახლად მიღებულ მანქანის ნაწილებს და თვითეულ ჭახრაკსა და ხრახნილს ერთი მეორეს უფარდებს.

საოცარი ამბავია! მე თავში უკვე გამინასკვა ახალ-ახალი მოთხრობის სიუჟეტი. ამ მოთხრობის გმირი ამხ. თურქოშვილი იქნება, მოქმედების მანძილი კი: ალვანი, პუტილოვის ქარხანა, და მერე ისევ შირაქის და ყარაღაჯის ველები.

ტრაქტორების ძახილი

მეურნეობის დირექტორი ამხ. გოგოლაძე ხალისიანათ შემეგება.

— გზა არ გვივარგა, ნამეტანი შორს ვართ, ავტო-მანქანით ჩვენთან მოსვლა მოუხერხებელია, ფეხით და ცხენით სიარულს კი არავინ კადრულობს, ამიტომ ხშირი სტუმარი არა გვყავს. — მეუბნება ახალგაზრდა, გულღია დირექტორი და მეურნეობის თვითეულ კუთხეულს მიხსნის, მაჩვენებს.

— საერთოდ ხელსაყრელი და სასარგებლო მცენარეა რამი. ჩესუნჩა, ჩითი, ბატისტი, ძვირფასი ძაფები და წარმოიდგინეთ მაუდიც კი მზადდება მისგან. — განაგრძობს ის.

შარშან აქ უმთავრესად კენაფი მოიყვანიათ, რომელსაც გაცილებით მეტი დამუშავება, მეტი დრო და ტეხნიკური საშუალებანი სჭირდება. რამი მხოლოდ საცდელად დაურგავთ, რასაც სრულიად გაუმართლებია მეურნეობის იმედები. წელს კენაფი სრულებით აღარ დაითესება, მეურნეობის მთელი მინდვრები რჩება რამის კულტურას, რომელიც ყველა ტეხნიკურ მცენარეებზე გაცილებით იოლი დასამუშავებელია, შემოსავალი კი ნაკლები არა აქვს.

რამის ერთხელ დარგული საძირე სძლებს 15—20 წელს და ამ ხნის განმავლობაში მას მხოლოდ კულტივატორით მოთოხნა და რწყვა სჭირდება, სხვა არაფერი, — მაშინ, როდესაც ბამბაც, კენაფის ყოველწლიურ ხვნას, თესვასა და რამდენჯერმე თოხნას საჭიროებენ.

წელს ალაზან-რამის მეურნეობა ამზადებს 20 ჰექტარიან სანერგეს, თვით რამის მეურნეობისთვის კი შემოდგომამდე უნდა დაამუშაონ 800 ჰექტარიანი ნაკვეთი.

რამის გარდა, მეურნეობას თავის საჭიროებისათვის დათესილი აქვს უკვე 120 ჰექტარი საკვები ბალახები, 82 ჰექტარი სიმინდი, 82 ჰექტარი სოია, 18 ჰექტარი კარტოფილი და სხვა ბოსტნეული. მეურნეობის 16 ტრაქტორიანი რაზმი განუწყვეტლივ ებრძვის ჯერ გაუტეხავ ყამირებს, რომლის ძვლებში ზოდებივით წევს გაუფხვიერებული და ასეული წლობით ჩადებული ბელტები.

— ნავთის მოუწოდებლობა ძლიერ გვაფერხებს, ნავთი ჩვენი ჰაერი და წყალია, უნავთოთ ხელფეხი გვაქვს შეკრული, 12, 13 და 18 აპრილს ტრაქტორები სრულიად გაცდენ, საწვავი მასალის უქონლობს გამო. ეს კი ჩვენთვის ძალიან დიდი დანაკლისია. — შემომჩივის ამხ. გოგოლაძე.

მართალია, უნავთობა აქ სრულ შემოქმედობას უდრის. ნავთი სისხლია ტრაქტორების, უნავთოდ ეს რკინის ლომები უძლური არიან, ძარღვები მოშლილი აქვთ, საცოდავად გამოიყურებიან! ტრაქტორებს ნავთი სწყურიათ, ჩქარა, დროზე მიაშველეთ ამხანაგებო!

ხუთწლედის გმირი ალაზნის პირას

ახალგაზრდა მუშა ამხ. ვასილ ივანოვი, თავაუღებლად სცემს კვერს, რკინას რკინაზე სჭედავს, ჰკვეთავს, ჰქლიბავს, უმიზნებს ხრახნილებს, სალტეებს ავლებს.

ჩემ მოსვლისას ერთი კი შემოგვხედა და ისევ თავის საყვარელ რკინებს დაუბრუნდა.

— რაშია საქმე, ამხანაგო გოგოლაძე, ხომ არაფერი ეწყინა ჩვენგან!

— არა, ამხანაგო, ეს ორი კვირაა ასე თავაუღებლად იბრძვის — ამხ. ივანოვი, დღე-ღამეს ასწორებს. მან თვითონ გამოიგონა რამის სარგავი მანქანა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ნახნავს აფხვიერებს, მერე კვალს ავლებს, კვალში რგავს რამის ნერგს, მიწას აყრის და კვალს ისევ სტკეპნის. თვითეული ასეთი მანქანა მეურნეობას დღეში მისცემს 50 მუშა-ხელის ეკონომიას. — **დაწვრილებით** მიყვება ამხ. გოგოლაძე, თან ხელებში შესცქერის ახალგაზრდა მუშა-გამომგონებელს, რომელიც აქვე, უმოღლოდ, თავისივე ხელით აგებს ამ რთულ მანქანას.

ყველაფერი თითქმის უკვე მზად არის. რამდენიმე ჭახრაკიც და ინტერნაციონალის მძლავრი ტრაქტორი ხნულებთან საჭიდაოდ გაიყვანს ამ ახალ ფალავანს, რომელიც აქ ამ მივარდნილ, უდაბურ ალაგას ჩაისახა და აქვე შეისხა ხორცი.

ამხ. ივანოვი ისეთი დაჯერებით სცემდა ჩაქუჩს, რომ მე მრწამს, ეხლა, ამ წუთში მისი გმირული შრომის ნაყოფი უკვე იბრძვის ალაზნის ერბოიან ყამირებთან.

ასე იბადებიან და მოდიან ახალი გმირები, ახალი ადამიანები, საჭიროა მხოლოდ ეს ადამიანები შენიშნო, გაამხნევო, ენერგიის ახალი ნაკადი ჩაუყენო ძარღვებში.

ამბავი ერთი ბებერი კამეჩისა

შესანიშნავია ეს მიდამო, ეს გულღია ველი! საბჭოთა მეურნეობის 200-მდე მუდმივი მუშა — აქ თავს საუცხოვოდ გრძნობს ვიდრე გაზაფხულის სურნელ ჰაერს მზის ცეცხლი წაეკიდებოდეს. მერე კი.. ძნელია, ძნელი აქ გაძლება. საღამოობით ცაზე ნისლივით გაიშლება კოღოების ბუდობა და ადამიანს სუნთქვა შეეკვრის..

გაავებული მალარია შეუჩნდება მიწასთან ჭიდილით დაღლილ კუნთებს, ჯერ შეარყევს, შეაკანკალებს, მერე ერთბამად, ბოდვიან სიცხეში გადააგდებს.. ამ დროს მარტო ქინაქინი ვერაფერს აწყობს. საჭირო ხდება დაავადებულ მკერდების უკეთესი კვებით გამაგრება.. თორემ ყველას ერთად დასცემს ეს უცნაური, ნახევრად უჩინარი მტერი, რომელსაც ერთთავად მომარჯვებული აქვს თავის შხამიანი მახვილი..

და მეურნეობას დამბლა დაჰკრავს, მუშაობა ჩაკვდება, კულტივატორებს ჟანგი მოედება.

მაშასადამე ქინაქინი და კვება. ეს კარგად უნდა იცოდეს სახკვების კომბინატმა, რომელსაც თავს უდგია აქაური მუშათა სურსათ-სანოვაგით მომარაგება... დიახ, მან ეს უნდა იცოდეს!..

ამხ. გოგოლაძე კი დაბეჯითებით მეუბნება: სახკვებმა სრულიად მიივიწყა ჩვენი მუშები. მან მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთად ერთი ბებერი კამეჩი გადმოგვიგზავნა და ერთად ერთი პატარა ტომარა მაკარონი. ეს არის და ეს.

თევზები მშრალზე

არა გჯერათ? დიახ, ნამდვილი თევზები, კავკასიონის ყინულოვან უბეებიდან გადმოვარდნილი ბჭყვრიალა თევზები, აქ ამ ტრიალ მინდორში! აი ამ თვითეულ ბუჩქიდან დამფრთხალი ხოხობი რომ ამოვარდეს ყივილით, საოცარი არაფერი იქნება, მაგრამ ბუჩქის ძირი და თევზი?!

თოთხმეტ - თხუთმეტი წლის, მზით გამურულ ქოჩორა მეძროხე ბიჭს სპილოსძვლიანი თეთრი კბილები გადმოუყრია და აბლობელა ბუჩქის ძირიდან, სხვილოებ დამკლავებული ცოცხალ თევზს აფართხალებს.

— ამხანაგო, თევზი არ გინდა? ცოცხალი თევზი! — მომძახის თან, თვითონაც უკვირს და უხარიან.

ბოლოს გავიგე საიდუმლო. ამ ბუჩქნარის თავზე მოდის ალაზნის არხის მაშველი რტო. ამ რტოდან ორიოდე დღის წინ გადმოგდებულ წყალს ბუჩქნარზე გადაუვლია და აქა-იქ ჩაღრმავებულ გუბეებში თევზები ჩარჩენილან.

იცინის, თეთრ კბილებს აღლებს შავი, ქოჩორა თავი. მას თევზი უხარია. უხარია და თან გაკვირვებულია, რადგან ჯერ კიდევ შარშან ეს პატარა ბიჭი, ზაფხულის პაპანაქებაში თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ამ დაგვალულ ველზე და ამომშრალ სასის გასასველებლად წვიმიან ნაგუბარს ეძებდა.

ბარაქიანმა მუშის მარჯვენამ ალაზანი ძველი ბუდიდან ამოაგდო და ამ სამოცდაათ კილომეტრიან მანძილზე საუკუნოვანი წყურვილი მოუკლა თვალუწვდენელ ველებს და ტრამალებს.

დღე დაილია და დაფენილ ველზე ლურჯი საღამო გაიშალა. ჩემი ხალისიანი ცხენი თავის გზით მიაბიჯებს, მე კი უკვე საკმაოდ შორი მანძილიდან გავცქერი ალაზან-რამის მეურნეობის თავზე აბრიალებულ უზარმაზარ გაზიან სანათურს, რომელიც ზღაპრულ შუქურასავით ანათებს ჩაბნელებულ სივრცეს.

მაგონდება ისევ: ლელივით ტანაყრილი ახალგაზრდა ლეკის ქალი ჰაჯარ მიგვიძღოდა წინ. რაღაც უცნაური შიშით და იდუმალებით იყო სავსე ის ღამე... ეხლაც ამ გზაში თითქო ისევ ის უცნაური მარტოობა მიპყრობს, მაგრამ მოგონებას უეცრად გზა გადაუჭრა ამხ. იოსებ თურქოშვილის სპილენძის ფერმა სახემ და პუტილოველ მუშის მაგარი ხელი გამომიწოდა.

— მშვიდობით, ნახვამდის, ამხანაგო, უკან უნდა გავბრუნდე, თორემ გზა გამიგრძელდა! — ჩემმა გამცილებელმა მოხდენილად მოსხლიტა ცხენი და თვალებში ნალების ცეცხლმა შემომანათა. ცხენმა ალბათ თუში ჭედარი იცნო,

წიგნის სასახლე

სახელგამი ტფილისში აგებს წიგნის სასახლეს. საძირკველი ჩაიყრება წელსვე. სასახლის აგება დაჯდება 5 მილიონი მანეთი.

სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე

მიმდინარე წელს სახალხო მოქანდაკე იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძეს უსრულდება სამხატვრო მოღვაწეობის 35 წელი. 35 წელიწადია, რაც იაკობ ნიკოლაძე თიხისა და მარმარილოს მესაიდუმლეა და მან მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იგრძნო მასალის თავისუფლად დაპყრობის შესაძლებლობა. ამ 25—30 წლის წინად იაკობ ნიკოლაძე, ცნობილ ფრანგ მოქანდაკე, ოგიუსტ როდენის უსაყვარლესი მოწაფე და მარჯვენა ხელი იყო. და აქედან, ბუნებრივად ფრანგ მოქანდაკეთა მიმდევარი და მათი გემოვნების მატარებელი. ამიტომაც იყო, რომ იაკ. ნიკოლაძის მიერ გაკეთებულ მწერალ ბარბე დ-ოროველის ბიუსტს ოგიუსტ როდენმა სიამოვნებით მოაწერა ხელი, როგორც მისი სტილის დამცველ და გამართლებულ ნამუშევარს.

იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება განსაკუთრებით გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში. შექმნა მხატვრული ძეგლები: „კამო“, „ლენინი“, „აკაკი“, „სამა წულუკიძე“ და სხვა, რომლებითაც დღეს მოფენილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქები.

თუმცა მის ზოგიერთ ნამუშავრებს, ეხლაც ატყვია ფრანგული სკოლის გავლენა, მაგრამ ეს ბუნებრივია, ვინაიდან იაკობ ნიკოლაძე როგორც ოსტატი საფრანგეთში ჩამოყალიბდა.

მიუხედავად წლებით დატვირთვისა იაკობ ნიკოლაძე, დღესაც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს. მის ატელიეში ნახავთ, სველ ტილოებში გახვეულ თიხის სხვადასხვა ფიგურებს. მათ შორის ამხ. ვალია ბახტაძის ბიუსტს ძეგლისათვის, რომელზედაც მუშაობს სულ რამოდენიმე დღეა. შეხვდებით აგრეთვე მარმარილოს დიდ ნახატებს, რომლებისთვისაც შემოქმედის ხელი შეუხია დიდ ოსტატს.



ბიუსტი—შესრულებული ვ. პატარიძის

ერთი კვირაა მას შემდეგ, რაც იაკობ ნიკოლაძემ დაამთავრა პროფ. პეტრე მელიქიშვილის ბიუსტი. იგი იშვიათი ოსტატობითაა გამოკვეთილი. პროფ. პეტრე მელიქიშვილის მაღალი გონიერება ისეთნაირად არის გადმოცემული, რომ პირდაპირ გაოცებთ დიდი ოსტატის ხელი, რომელსაც ასე აუმღერებია მუნჯი და ცივი მარმარილო.

მის ნამუშევართა შორის პრ. პეტრე მელიქიშვილის ქანდაკება უსათუოდ შედევრად უნდა ჩაითვალოს.

ამჟამად იაკობ ნიკოლაძე, საქართველოს პედინსტიტუტთან არსებულ ქანდაკების ფაკულტეტის კათედრის გამგეა და პროფესორი. პროლეტარულ მხატვართა ასოციაციამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა იაკობ ნიკოლაძეს პერსონალური პენსია დაენიშნოს ამავე ასოციაციის ინიციატივით. ახლო მომავალში თბილისში მოეწყობა საზეიმო საღამო მისი 35 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად.

შ. ქ—ძე.

ბეჭდვითი სიტყვის სახლი ტფილისში

საქართველოში პოლიგრაფიული ბაზა საგრძნობლად ჩამორჩა ბეჭდვითი სიტყვაზე გაზრდილ მოთხოვნილებებს. არსებული სტამბები, როგორც ტეხნიკური მოწყობილობით, ისე კადრებით, ვეღარ უთავდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაიც შეუძლებელს ხდის ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების თავის დროზე და პოლიგრაფიული ტეხნიკის მხრივ უნაკლოთ გამოცემას.

გარდა ამისა, პოლიგრაფიულ საშუალებათა დაქსაქსულობა კიდევ უფრო აფერხებს პერიოდულ გამოცემათა ნორმალურ მუშაობას.

ამ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად და საქართველოს ცენტრალურ გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო - საგამომცემლო საქმის რაციონალიზაციის მიზნით, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ბიურომ მიმდინარე წლის 30 აპრილს დაადგინა **ტფილისში აგებულ იქნას ბეჭდვითი სიტყვის სახლი.** ამ სახლში მოთავსდება ცენტრალურ პერიოდულ გამოცემათა სარედაქციო-საგამომცემლო აპარატები, ამ გამოცემათა პოლიგრაფიული ბაზა, ექსპედიცია, საწყობები და სხ.

ბეჭდვითი სიტყვის სახლის საამშენებლო კომიტეტი არჩეული იქნა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **გ. ყურულაშვილი, ფ. მახარაძე, ნიკ. კიკნაძე, („კომუნისტი“-ს რედაქტორი), ვ. გრიგორიანი, გ. სტურუა, ბ. მაჩაიძე, კ. გორდელაძე, ნ. სოკოლოვსკი, ს. აკოფოვი.**

ბეჭდვითი სიტყვის სახლს საძირკველი ჩაეყრება წელსვე.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ბეჭდვითი სიტყვის სახლის ასაგებად საჭირო თანხები გაღებული იქნეს ბეჭდვითი სიტყვის 1933 წლის ფონდიდან.

ამავე მიზნით გაზ. „კომუნისტი“ს რედაქციამ გაიღო 300.000 მან.

საამშენებლო კომიტეტს დაევალა თბ. საბჭოსთან ერთად გამონახოს შესაფერი მიწის ნაკვეთი სახლის ასაგებად.

გერცელ ბააზოვი

ნიკანორ ნიკანორიჩ

წვერი გაპარსული ჰქონდა, ხოლო ულვაშები დაგრეხილი.

პატარა შუბლი, პატარა თვალები, პატარა ცხვირი.

ამ სიპატარავეში იმალებოდა მისი თავისებურობა.

თვალები კატას მიუგავდა — არა მარტო ფერით, არამედ თავისი არსებითაც. პირველი დანახვისთანავე შეიძლებოდა გან საზღვრა: კატა, რომელიც გამწარებული დაემებს თაგვს.

ლოყები ხშირად უწითლდებოდა, ხოლო თვალები — უბრწყინავდა. უბეში ყოველთვის ედო პატარა თეთრი ბოთლი.

ბოთლი ყოველდღიურად აივსებოდა ორჯერ თუ სამჯერ.

ულვაშებს არ მიჰკარებია სავარცხელი საუკუნის მეათედის მანძილზე.

თავი მოტვლეპილი ჰქონდა, ხოლო წვერის გაპარსვის ყოველ მესამე დღეს, შეიძლებოდა დაახლოებით მისთვის ორმოცდაათი წლის მიცემა.

არბატზე კალოშინის შესახვევში იშვიათად ვინმემ იცოდა ვლადიმიროვის გვარი, ხოლო ყოველმა ბავშმა იცოდა სახელი:— ნიკანორ ნიკანორიჩ.

— ნიკანორ ნიკანორიჩი? როგორ არ ვიცნობ? ვინ არ იცნობს მას? რიგელი მეჩექმეა. თქვენ ალბად ფეხსაცმელი გსურთ დააკერებინოთ? არა? ჰო, მესმის, ამას ოთახიც აქვს გასაქირავებელი, მობრძანდით, აი ამ ეზოში, მეორე სართულზე.

პატარა სახლი აერთიანებს ხუთ თუ ექვს დგმურს.

„რიგელ მეჩექმეს" უჭირავს ერთი დიდი ოთახი, რომლის ერთი კუთხე მიუთვისებია „ფეხსაცმელების სახელოსნოს".

კედელზე — ღვთისმშობლისა და სხვა წმინდანების ხატები.

ნიკანორ ნიკანორიჩი ზის დაბალ სკამზე და მუშაობს.

ცხვირის წვერზე სათვალეები — არავინ იცის რა დანიშნულებას ემსახურება.

ზის, მუშაობს და ბურტყუნობს.

ხოლო ცოლი, სუფრის მაგიდაზე, აუთოებს თეთრეულს.

ტატიანა ფეოდოროვნა ორმოცდახუთი წლის საკმაოდ სქელი ქალი — ჯერ კიდევ კარგადაა შენახული.

მეზობლის „ბოროტი ენები" ამბობდენ, რომ ნიკანორ ნიკანორიჩი — იყო მისი მეოთხე ქმარი.

ხოლო ნიკანორიჩის წარსული არავინ იცის.

ერთად ერთი წყაროა — თვითონ.

როდესაც პირველად შევედი მათთან, ცოტათი დაიბნენ. მათი გამოყვანა უხერხული მდგომარეობიდან არც ისე ძნელი იყო:

— მე დღეს წავიკითხე „[illegible]", რომ თქვენთან ქირავდება ერთი პატარა ოთახი.

[illegible] ვათვალიერებდი ხატებს.

— თქვენ კომუნისტი ხართ? — შემეკითხა მამაკაცი.

— არა — ვუპასუხე.

— აბა ხატები რისთვის გაოცებთ? ეს ტატიანა ფეოდოროვნას მზითევია. ჩემი აქ არაფერია, გარდა ამ სახელოსნოსი. თუმცა თქვენ ხომ, აქ არ უნდა იცხოვროთ. ტატიანა ფეოდოროვნა! უჩვენეთ ოთახი. ხოლო უკაცრავად, ორ კითხვაზე მიპასუხეთ: სადაური ქვეყნის კაცი ხართ?

— მე საქართველოდან ვარ.

— ეს ვგონებ კავკასიაშია. ეხლა უკანასკნელი კითხვა: თქვენ პატიოსანი კაცი ხართ?

ტატიანა ფეოდოროვნა შეწუხდა.

— ნიკანორიჩ, შენ ჯერ ხომ არ გადაგიკრავს, რა გემართება.

— მე არ ვიცი არაფერი — [illegible] ნიკანორიჩმა — უჩვენე ოთახი და თუ მოეწონება — გამოართვი ფული და მომიტანე.

ცოლმა მრისხანედ გადახედა ქმარს.

*

ოთახის ფართობი: ექვსი კვადრატიული მეტრი.

უფერული ორმაგი ფანჯრები ებრძოდა დეკემბრის სუსხიან სიცივეს.

კალოშინის შესახვევში არ ისმოდა ტრამვაისა და ეტლების ხმაური.

მუშაობისათვის — ეს საყურადღებოა.

ორი სამი დღის შემდეგ უკვე მოვეწყვე პატარა მაგიდით, წიგნებით და საკეცი ტახტით.

ეს არც ისე პატარა ამბავი იყო, რომ მეგობრებს არ მოელოცათ.

და აი ისინი უკვე გაჩნდენ: აკაკი, სერგო.

პატარა მეგობრული სუფრა: კახური და ხიზალალა.

მოგონება ტფილისის.

და...

კარებში ნელი კაკუნი.

— შეიძლება?

— როგორ არა, მობრძანდით, ჩამოჯექით აქვე ტახტზე. სხვა ადგილი არ არის.

გაიცანით, ეს ჩემი მეგობრებია, ხოლო ეს კაცი — ჩემი ოთახის პატრონი: ნიკანორ ნიკანორიჩ.

ნიკანორიჩს ხელში ბოთლი არაყი ეჭირა და მისი მიხვრა-მოხვრა ამტკიცებდა, რომ იგი სანახევროდ მთვრალი იყო.

ნიკანორიჩს კახური არ მოეწონა, აილინება და დაისხა არაყი, შემდეგ ითხოვა სიტყვა:

— მე გახლავარ ნიკანორ ნიკანორიჩ ვლადიმიროვი. კუსტარი — ერთეული... რატომღაც ხმა წართმეული — მაშინ როდესაც ჩემისთანა მეჩექმე ორი არ არის მთელ მოსკოვში. გაგიგონიათ რიგა? იქ შევისწავლე ეს ხელობა... მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო.

— რომელი დრო სჯობდა, ნიკანორიჩ, მაშინდელი თუ ეხლანდელი?

ნიკანორიჩმა კისერი მოიფხანა და ჩვენი შეკითხვა ბანზე აგდო.

— თქვენ ყველანი კავკასიელები ხართ, არა?... მე ძალიან მიყვარს კავკასია, ო ძალიან... თუმცა მე იქ არ ვყოფილვარ. მაგრამ ვიცი თქვენ ძალიან კარგი ხალხი ხართ. მე ყველა ხალხები მიყვარს... მე ინტერნაციონალი ვარ. რას იცინით, ბო გჯერათ?... თუგინდ ჰკითხეთ ტატიანა ფეოდოროვნას... ჩემთვის ერთია ყველა: კავკასია, რუსეთი, გერმანია, პოლონეთი, [illegible]ტონეთი,.. მე კიდევ ვამბობ, მე ინტერნაციონალი ვარ... მე ყველა ხალხი მწამს, ყველა..: გარდა ჟიდებისა..: მე არ მიყვარს ჟიდები... ისინი, ისინი, რომლებიც შეძვრენ ყველგან..: ისინი, ის საზიზღრები, ქრისტეს გამყიდველები, რომლებმაც აიოხრეს ჩვენი სამშობლო, რომლებმაც გერმანელებს მიჰყიდეს ჩვენი დიდი რუსეთი..

— დამშვიდდით, ნიკანორიჩ, წადით დაიძინეთ!

მეგობრებმა ღიმილით გადმომხედეს.

ნიკანორიჩს დაავიწყდა ჭიქა და ეხლა უკვე ბოთლი მიიყუდა.

— დავიძინო? ჰმ. ვინ უნდ დაიძინოს? მე? მაშ თქვენ ჯერ არ მიცნობთ! კავკასიელებო... თქვენ ძალიან ბიჭები ხართ, თქვენ ძალიან მიყვარხართ. ხოლო მე არ შემიძლია ეხლა დავიძინო. მე მაშინ მძინავს, როცა ფხიზელი ვარ. ხოლო ვლაპარაკობ როცა მთვრალი ვარ.

მაგიდაზე კალენდარს მოჰკრა თვალი, ხილო ხელში და განაგრძო:

— უყურებთ ამას? დეკემბერია, დღეები ილევა. ხვალ ზეგ დაიწყება 1930 წელი და ნიკანორიჩის ბოღმა კიდევ უფრო იზრდება.

— ნიკანორიჩ, ეხლა გასაგებია, შენისთანა კონტრ-რევოლიუციონერები ყველანი ხმა წართმეულები არიან.

— მე—ნიკანორიჩი—კონტრ-რევოლიუციონერი? როგორ გეკადრებათ? მე მიყვარს რევოლიუცია ძალიან მაგრამ მეჯავრებიან ყველა ჟიდები.

— ჟიდებმა რა დაგიშავეს?

— იმათ რევოლიუცია მოაწყეს.

— აბა ვის უნდა მოეხდინა რევოლიუცია?

— არავის. რატომ არ არის სხვა ქვეყნებში რევოლიუცია? იმიტომ, რომ იქ არაა ჟიდები.. ჩვენში კი,—ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაძვრებიან მგბენარებივით...

— ნიკანორიჩ, დაისვენეთ, დაწყნარდით!

— რატომ მიყურებთ, კავკასიელებო, ეჭვით? მე წითელ არმიას თავი შევსწირე..: მე სამოქალაქო ომში გმირობისათვის დავიმსახურე რამოდენიმე ორდენი... არ გჯერათ? ეხლა [illegible]

გაუგებარი სიფრთხილით ამოიღო ჯიბიდან.

გადმოგვცა. ვათვალიერებთ:

ახალგაზრდა ნიკანორიჩი დენიკინელ ჯარისკაცის ფორმაში, მკერდზე წმინდა გიორგის ჯვრებით. ხოლო სურათის მეორე გვერდზე წარწერის წაკითხვის ნება არ დაგვრთო. ვიცინით.

— ეს რაა ნიკანორიჩ? რა უნდოდა წითელ არმიაში ამ ჯვრებს?

— ეს არაფერი, არაფერი... ეხლავე, ეხლავე.

მაგიდიდან დაავლო ხელი ფანქარს და სურათზე წაშალა ყველა ჯვრები. სასწრაფოდ სურათი დამალა, შემდეგ გამოსცალა ბოთლი და განაგრძო:

— მე ორი მტერი მყავს: ნემკოვი და ჰინდა მარგოლინი... ნემკოვი—ინვალიდია, ორივე ფეხი მოტეხილი აქვს. მაინც ის აარჩიეს ჩვენი სახლთმმართველობის თავმჯდომარედ... რუსია, მაგრამ ჟიდზე უარესია..: ჰინდა კი ჟიდის ქალია, თვრამეტი წლის, კომკავშირელია, როსკიპია... აი ეს ორი დაჯდებიან ხოლმე და არჩევენ ჩემს საკითხებს...

— რა საკითხებს?

— იმათ წამართვეს ხმა იმათ ამიკრძალეს ცოლის გალახვა. ჩემს ცოლს აუკრძალეს ჩემთვის არაყის ფულის მოცემა.. იმათ გამომიცხადეს რამოდენიმე საყვედური და გაფრთხილება... შემდეგ მათრევდენ მილიციაში.. ეხლა მეუბნებიან ალკოჰოლიკი ხარო. ხულიგანი ხარო. გაუსწორებელიო. უნდა გამოგასახლოთო.

მეზობელ ოთახში გაისმა ტელეფონის წკრიალი.

— გესმით? უგდეთ ყური იმ ჟიდი ქალის წრიპინს. ისინი ეხლაც ჩემზე ილაპარაკებენ.

— ალლო, ეს მე ვარ, ჰინდა. ამხანაგი ნემკოვ? ძალიან კარგი. რა მოხდა კიდევ? ნიკანორიჩს ისევ უცემნია ტატიანა ფეოდოროვნა? როდის? დღეს? ის ქალი რაღა იქნა? დაუმწყვდევია ოთახში? თვითონ რესტორანში წავიდა? არა. ამხანაგო ნემკოვ, ის აქაა ახალი დგმურის ოთახში. შეჰყარეთ სახლთმმართველობა და მივიღოთ გამკაცრებული ზომები. სახლში არავინაა, მაგრამ არა უშავს, მე ეხლავე მოვდივარ.

— აი, აი, ხომ გაიგონეთ... დაჯდებიან ეხლა და შეუდგებიან ნიკანორიჩის გინებას..: თქვენი დედა, თქვენი..:. თქვენთაას კავკასიელებო. ბოდიში... უნდა გავისეირნო საჭირო ადგილას.., დავბრუნდები ეხლავე, ეხლავე...

ნიკანორიჩი იმ საღამოს აღარა დაბრუნებულა.

**

ჰინდა მარგოლინი — ღირსეული წევრია იმ ახალი მილიონებისა, რომლებიც პირქვე აბრუნებენ ძველ ყოფაცხოვრებას.

ჰინდა მოსკოვში ცხოვრობდა შორეულ ნაცნობებთან.

სწავლობდა ელექტრო - მექანიკურ დარგზე, იღებდა სტიპენდიას და ითვლებოდა საუკეთესო [illegible].

უკრაინის ერთ-ერთ პროვინციაში წერილებს სწერდა გაუბედურებულ დედას და ო[illegible] და-ძმას.

უკრაინიდან ჩამოიტანა ბოღმა და საშინელი მოგონება.

ეს იყო მაშინ: როცა თეთრები აკეთებდენ შავ საქმეს.

ის დაბა ააწიოკეს და მამამისიც აწამეს. ბანდიტმა სიკვდილამდე მამამისის სხეულზე ამოსჭრა თავისი სახელი:

„ვასია გრომკობოევ".

ბავშმა ჰინდამ დაიხსომა საზიზღარი სახელი და გაიზარდა ბოღმით და წაუშლელი ზიზღით.

ამიტომაც არის, რომ იგი თავდადებით გაიტაცა სოციალისტურმა ეპოქამ და იმ დიდმა საქმემ, რომელიც ჰინდასთვის იყო: უდიდესი სიმართლე.

ჰინდა—კომკავშირელია და ყველა მეზობლების თითით საჩვენებელი, საყვარელი ახალგაზრდა.

საღამოობით, ჰინდა ეხმარება ინვალიდ ნემკოვს.

სახლთმმართველობაში მოაწყო კულტკუთხე. თავისი ხელით გადასჭიმა მავთულები და გაიყვანა ელექტრონის სინათლე.

ეხლა ზრუნავენ რომ მოაწყონ ბავშთა ბაგა, საერთო სამზარეულო და ტატიანა ფეოდოროვნა ჩამოაცილონ ნიკანორიჩს.

ნიკანორიჩის საქციელმა ჰინდას გაუხსნა ძველი ჭრილობები.

— როსკიპი.., ჟიდის ქალი.—ასე ეძახდა მას ნიკანორიჩი ყოველ დღიურად. ნემკოვი ამ საღამოს უკანასკნელად ამტკიცებდა:

— ნიკანორიჩი გახრწნილი ალკოჰოლიკია, გაუსწორებელი ხულიგანი და საზიზღარი, კაციჭამია ანტისემიტია. დღეს თუ ხვალ იგი მოჰკლავს ტატიანა ფეოდოროვნას, მერე ვინ იცის ჰინდასაც რამე აცნოს.

შეატყობინეს მილიციას და სთხოვეს გადამჭრელი ზომების მიღება.

მოვიდა მილიცია, ხოლო ნიკანორიჩი აღარსად იყო.

სამაგიეროდ:

ჰინდას ჯიბეში აღარ იყო იმ დღეს მიღებული სტიპენდია.

ტატიანა ფეოდოროვნამ ვეღარ მიაგნო დაუთოვებულ თეთრეულს.

ხატების მაგივრად—იცქირებოდენ თავიანთი ქსელებიდან—ობობები.

ხოლო „სახელოსნოში" აღარ იყო არც ერთი ხეირიანი ფეხსაცმელი.

ნემკოვი ბრაზობდა, ტატიანა ფეოდოროვნა ჰკიოდა, მილიცია ოქმს ადგენდა.

ნიკანორიჩი დაბრუნდა მეორე დღეს, შუაღამისას.

გარედ საშინლად ციოდა, ხოლო ნიკანორიჩი ვერა გრძნობდა მოსკოვის სუსხიან ზამთარს.

იგი მოდიოდა ბარბაცით და არყის სუნით გაბრუებული. მოათრევდა თეთრ „კარდონს" და ამტკიცებდა, რომ ეს იყო მისი საფლავის ქვა.

პირზე დორბლი მოსდიოდა. თვალები გადმოვარდნას ლამობდენ და ახლოს მიკარება სახიფათო იყო.

უბეში ელაგა ათეული ბოთლი—ჯერ კიდევ გამოუცლელი.

ტატიანას კივილზე — შევვარდით ყველა მეზობლები.

აქ იყო ნემკოვიც და ჰინდაც.

გამოუძახეთ მილიციას.

ნიკანორიჩმა ხელი წაავლო ქლიბსა და დანას.

— ახლოს არ მომეკაროთ... მე... მე, შევადგინე ინტერნა...ციო..ციო... ნალი,,, იქ ჟიდების ხსენება არ იქნება... დიახ, დიახ.. არ იქნება.,, რას მიცქერი ჟიდის ქალო მასე გამოთაყვანებით.:. შენც აქ ხარ... კავკასია?., შენც ჩემი მტერი ხარ.:. მე ხომ გითხარი.:. რომ კავკასიას არ ვერჩი თქო....

ახალ ბოთლს წვერი მოაგლიჯა და კიდევ გადაჰკრა.

ხელიდან იარაღს არ უშვებდა.

მისი ცოლი იმალებოდა ნემკოვის უკან.

საზარელი სურათი იყო: ვერ გავიგეთ რა ძალა აკავებდა ფეხზე—თუმცა იგი უკვე საშინლად ბარბაცებდა.

როცა მილიცია მოვიდა, იგი უკანასკნელ ბოთლს სცლიდა და უნებურად ჩაჯდა ძველ სავარძელში

— ნიკანორ ნიკანორიჩ ვლადიმიროვ! თქვენ დაპატიმრებული ხართ. წამოგვყევით რაიონში.

— დაპატიმრებული?—გაოცებული ლუღლუღებდა ნიკანორიჩი—თქვენ გინდათ დააპატიმროთ ნიკანორიჩი?.. მერე ვინ გიშლით?.. დაიჭირეთ... მაგრამ...::: არ გაუშვათ... ის რიგაშია ეხლა.:. ვინ გითხრათ, რომ მე ვარ ვლადიმიროვი?.:. ან მე მქვია ნიკანორ ნიკანორიჩი?.. ხი,ხი,ხი,—ხი,ხი.:. მე სხვა ვარ, სხვა.:.

გრრრრ..:

და უკანასკნელად თავის სიცოცხლეში დააპირა წამოდგომა. წელში ვეღარ გაიმართა, საშინლად დაბარბაცდა, თავი მიახალა კედლის ღუმელს და უგრძნობლად წაიქცა.

უბიდან ამოვარდა სურათი.

იგი დაეცა ჰინდას ფეხქვეშ.

ჰინდამ აიღო იგი ინსტიქტიურად, დააკვირდა და უცბად, არაადამიანური ხმით შეჰკივლა.

ჩვენ ყველანი მოვბრუნდით ჰინდასაკენ.

ჰინდა იდგა საშინლად გაფითრებული.

მისი თვალები—ეს იყო ზიზღის ნაკვერცხლები.

მე გამოვართვი სურათი და მეორე გვერდზე—აღელვებით წავიკითხე ორი სიტყვა:

„ვასია გრომკობოევ".,,,

მეტი ყურადღება საბავშო ლიტერატურას

მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტში 8 მაისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ საბავშო წიგნისა და ჟურნალის შესახებ მოწვეული თათბირი.

მოზარდ თაობის მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმეში — განაცხადა თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის სექტორის გამგემ ამხ. **ოსიპოვმა,** თავის შესავალ სიტყვაში,—უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საღ საბავშო ლიტერატურის შექმნას და ამ დარგში, როგორც იდეოლოგიურ, ისე, მხატვრულ ნაკლოვანებათა დაუნდობელ გამომჟღავნებას. ჩვენი თათბირის ამოცანაა შევამოწმოთ გამოცემულ საბავშო ლიტერატურის ხარისხობრივი და რიცხობრივი მაჩვენებლები.

შემდეგ სახელმწიფო გამომცემლობის მოზარდ და საბავშო ლიტერატურის სექციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **კარლო მელაძემ.** საბავშო წიგნი და პერიოდული ლიტერატურა,—განაცხადა მომხსენებელმა,—ჯერ კიდევ სავსებით არ განთავისუფლებულა ჩვენთვის უცხო იდეოლოგიისაგან. ჟურ. „ჯეჯილში" და „ნაკადულში" 1923—24 წლებში ზოგიერთი მწერალი (შანშიაშვილი, მჭედლიშვილი და სხ.) ბეჭდავდენ ლექსებსა და მოთხრობებს შობაზე, ახალ წელზე, აღდგომაზე და სხვ. საბავშო მხატვრულ ნაწერებში უხვათაა გაბნეული ნაციონალისტური აზრები. სათანადო სიმაღლეზე არც ცალკე პროლეტმწერლების პროდუქცია დგას. ხშირია თემების ზერელე დამუშავება. ზოგიერთი პროლეტმწერალი არა კეთილსინდისიერად ამუშავებს თემას, ამას კი თან სდევს პარტიის საყურადღებო ლოზუნგების მნიშვნელობის დამახინჯება და ბავშთა შეგნებაში არევდარევის შეტანა. ზოგჯერ ცალკე საკითხების ტრაქტოვკა ყოვლად დაუშვებელი და კარიკატურულია. მაგ. **რემონიძე** ერთ-ერთ წიგნაკში სრულებით ამახინჯებს სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის აზრს. მის წიგნაკში დამკვრელობის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ დამკვრელები დილას ყველაზე ადრე დგებიან.

უვიცობას და დაუდევრობას ადგილი აქვს საბავშო ლიტერატურის ტეხნიკურათ გაძლიერებაშიაც. ხშირია, როცა კურდღელს ხატავენ მელიას კუდით, ციყვს ვეფხის თავით და სხვ. სახელმწიფო გამომცემლობის მოზარდთა და საბავშო ლიტერატურის სექციის ლოზუნგებმა ნაწილობრივ გარდატეხა მოახდინეს საბავშო ლიტერატურის გამოცემის საქმეში. აგრეთვე საგრძნობლად გაიზარდა და იზრდება საბავშო წიგნების რაოდენობა. თუ 1921 წლიდან 1929 წლამდე სულ გამოცემული იქნა 184 სახელწოდების წიგნი, 783.000 ტირაჟით, გეგმით მარტო წელს გამოიცემა 283 სახელწოდების წიგნი. ამასთან დაკავშირებით გადიდდება ტირაჟიც. პირველ კვარტალშივე, უკვე შესრულებულია მთელი წლის გეგმის 50 პროც. მაგრამ, სექციის მუშაობას წინ ეღობება მრავალი დაბრკოლება, რაც აფერხებს გეგმით დასახულ ხარისხობრივობის მაჩვენებლების შესრულებას. შეიძლება ითქვას, რომ სექცია სრულებით არაა უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით, გარდა ამისა საბავშო ლიტერატურის და პერიოდულ გამომცემლობისათვის არაა მყარი პოლიგრაფიული ბაზა, პოლიგრაფიულ ბაზის ჩამორჩენის გამო საბავშო ჟურნალების გამოსვლა თვეობით გვიანდება. სუსტადაა დაყენებული მკითხველ ბავშებს შორის მასიური მუშაობა. მწერალთა უმრავლესობა არაა დაკავშირებული სექციასთან. მრავალ მწერლის მუშაობას საბავშო ლიტერატურის დარგში აქვს შემთხვევითი ხასიათი.

საბავშო ლიტერატურის გამოცემის ორგანიზაციების მუშაობის გაჯანსაღებისათვის საჭიროა პარტორგანიზაციების და პოლიტიკურ საზოგადოებრივობის უშუალო დახმარება.

თბილისის კომიტეტის ბრიგადის მიერ საბავშო ლიტერატურის საგამომცემლო ორგანიზაციების გამოკვლევის მასალების მიხედვით მოხსენებით გამოვიდა ამხ. **პოლოხოვი,** რომელმაც საილიუსტრაციოთ მოიყვანა კონტრ-რევოლიუციონურ - ტროცკისტულ და შოვინისტურ განწყობილებათა აშკარა მაჩვენებელი ფაქტები და ციტატები საბავშო ლიტერატურიდან. ამ ფაქტებით და ციტატებით მომხსენებელმა ნათელჰყო, რომ სახელგამის მიერ გამოცემულია მრავალი საბავშო წიგნი და ჟურნალი ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებებს და დირექტივებს, რომელთაც უყენებს საგამომცემლო ორგანიზაციებს საქ. კ. პ. (ბ) კომიტეტის 1931 წლის 29 დეკემბრის დადგენილება.

საბავშო ჟურნალებში ათავსებენ თვით ბავშების ლექსებს და ყურადღება არ ექცევა იმას, თუ როგორ აქვთ ათვისებული და გაგებული ის, რაზედაც სწერენ ბავშები ავტორები. წიგნებისა და ჟურნალების სარედაქციო საქმეებში არ არიან ჩაბმული მომზადებული პარტიული მუშაკები, ზოგიერთი რედაქტორი, გარდა იმისა, რომ არ შეეფერება თავის მოვალეობას, იოიცხება ფორმალურად და არავითარ პრაქტიკულ მუშაობას არ აწარმოებს. განათლების კომისარიატი არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევს სახ. გამომცემლობის საბავშო სექტორს. პროლეტმწერლები კიდევ არ მობრუნებულან პირით საბავშო ლიტერატურისაკენ.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი.

— საბავშო ლიტერატურის გამოცემაში ადგილი აქვს საგრძნობ მიღწევას რიცხობრივი მაჩვენებლების მხრივ,—ამბობს ამხ. **ბ. ბარათაშვილი,** მაგრამ ხარისხიანობით საბავშო ლიტერატურა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა. საბავშო ლიტერატურის ხარისხი ბევრით დამოკიდებულია ტეხნ. ბაზაზე, სტამბები ვერ უზრუნველყოფენ საბავშო ლიტერატურის თავის დროზე აწყობასა და ბეჭდვას. აგრეთვე საბავშო ლიტერატურის ხარისხის აწევა დამოკიდებულია სარედაქციო კვალიფიციურ მუშაკებზე, რომელთა რიცხვი დღემდე მეტად მცირეა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ბარონ ბიბინეიშვილმა, ალიევმა, ოვანესიანმა, ფრანგიშვილმა, რომანიშვილმა და სხვ.**

თათბირის მასალების მიხედვით თბილისის კომიტეტი გამოიმუშავებს პრაქტიკულ ლოზუნგებს მოზარდთათვის და საბავშო ლიტერატურის გამოცემის საქმის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ თათბირზე არ ყოფილან გამოძახებულნი მწერლები და მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ქრონიკა

უცხოეთი

ფილოსოფია

„ფილოსოფიის ისტორიის საფუძვლები"

ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა **იოჰან ედუარდ ერდმანმა** გამოსცა „ფილოსოფიის ისტორიის საფუძვლები". ახალ გერმანულ ფილოსოფიის ისტორიაში შემდეგ ისტორიზმს (კუნო ფიშერის შრომათა ტრადიციულ ბაზს) ენაცვლება მეთოდოლოგიური და სისტემატიური დალაგების სიახლე. ამ თვალსაზრისით ერდმანის მიერ ფილოსოფიის ისტორიის კურსის მეთოდოლოგიური გადასინჯვა ყურადსაღებია. მაგრამ მთელი „კვლევა" ნაწარმოებია იდეალისტური კუთხიდან, რაიც ჩვენი მკითხველებისათვის აღნიშნულ თხზულებას მნიშვნელობას უკარგავს.

„კანტ-ლექსიკონ"

რუდოლფ ეისლერის ეს შრომა შეიცავს კანტის თხზულებათა კრებულის ტერმინოლოგიას ინდექსებს და რეგისტრს. აქვს პრაქტიკული და საორიენტაციო მნიშვნელობა.

„ლებენსფილოსოფიე უნდ ფენომენოლოგიე"

ი.-წ. „ცხოვრების ფილოსოფია" ამჟამად გერმანეთში დიდი პოპულიარობით სარგებლობს. გ. ზიმელის, შპრანგერის და სხვათა შრომები ამ მიმართულებით საკმაოდ ცნობილია. **გეორგ მიშის** წიგნი ყურადღებას იქცევს, როგორც ცდა—ცნობილი გერმანელი მოაზროვნის **ედ. ჰუსსერლის** სკოლის (ფენომენოლოგისტების) პრინციპებით „ცხოვრების ფილოსოფიის აგებისა". იგი აშკარად იდეალისტურ თვალსაზრისზე დგას და აკლია თვით ზიმმელის მეტაფიზიკური სოციოლოგიზმი.

„ლიტერატურული გემოვნების სოციოლოგია"

„დას დოიჩე ბუხ" გადმოგვცემს, რომ **ლ. შიუკინგის** წიგნი „ლიტერატურული გემოვნების სოციოლოგია" („დი სოციოლოგიე დერ ლიტერარიშენ გეშმაკსბილდუნგ") მეორე გამოცემით გამოვიდა ლაიპციგში და სარგებლობს კრიტიკის განსაკუთრებული ყურადღებით. აღნიშნული შრომა თარგმნილია რუსულად—(გამოცა „აკადემია"-მ ჟირმუნსკის რედაქციით). მარქსისტული ლიტერატურის იმ მაღალ დონეზე, რომელზედაც იმყოფება რუსეთში ლიტერატურის ისტორია—შიუკინგის წიგნი სიახლეს არ შეიცავს.

ლიტერატურა

ახალი შრომები რაინერ მარია რილკეზე

გერმანული ლიტერატურის ისტორიკოსები, ესთეტიკოსნი და შემოქმედების ფსიქოლოგიის მკვლევარები დიდი ყურადღებით ეპყრობიან რ. მ. რილკეს პიროვნებასა და შემოქმედებას. გამოვიდა რილკეს „წერილების" კრებული (1899—1902 წ.წ.). გამოიცა შემდეგი შრომები: **ჰ. ვ. ჰაგენი:** „რილკეს გარდაქმნა", **მ. ბაუერი:** „რ. მ. რილკე და საფრანგეთი", **ვ. ერრანტ:** „რილკე".

„შექსპირის სონეტები"

იმავე გაზეთის ცნობით გამოვიდა განთქმული გერმანელი პოეტის **სტ. გეორგეს** თხზულებათა კრებულის 12 ტომი, რომელიც წარმოადგენს „შექსპირის სონეტები"-ს პოეტურ თარგმანებს.

„ნაპოლეონი"

გერმანულად გამოვიდა **დმ. მერეჟკოვსკის** წიგნი ნაპოლეონზე, რუსული ხელთნაწერიდან თარგმნილი არტურ ლუთერის მიერ.

წიგნები ჰოფმანსტალზე და მორგენშტერნზე

ამ ორი ცნობილი პოეტის შესახებ გერმანულად გამოიცა შემდეგი ავტორების შრომები: **მ. კიმპერლის:** „ჰუგო ფონ ჰოფმანსტალ" და **ჰ. გიფფეს:** „ხრ. მორგენშტერნი, როგორც მისტიკოსი".

მუსიკა

„სტრავინსკი"

ჰ. ფლაშერის (გერმანელი კრიტიკოსი მუსიკის დარგში) ეს წიგნი მიზნად ისახავს ცნობილი რუსი კომპოზიტორის შეფასებას. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იგორ სტრავინსკის ნოვატორობას რიტმიკაში. ავტორი მთელი რიგი მაგალითებით ამტკიცებს იმ სიახლეს, რომელიც ამ კომპოზიტორმა შეიტანა მუსიკალური თემების ტრაქტოვკაში—მელოდიური არმიებისა და დისონანსების ვარიაციების მხრით.

ჰერდერი და ჰამანი—მუსიკალური ავტორიტეტები

ი. მიულერ-ბლატტაუმ გამოსცა შრომა **„ჰამანი და ჰერდერი მათს მუსიკალურ მითითებებში".** წიგნი მიზნად ისახავს ამ ორი მოაზროვნის მუსიკალური ერუდიციის ჩვენებას.

საქართველო

„ალმასტი"

21 მაისს ტფილისის სახელმწიფო ოპერაში ქართულ ენაზე მიდის სპენდიაროვის ოპერა „ალმასტი", თარგმანი ვ. ხმალაძის, ოპერას დგამს რეჟ. ალ. წუწუნავა, მხატვარი [illegible]. მთავარ როლებს ასრულებენ [illegible], ლ. [illegible] და სხვ.

კონკურსი

ამჟამად სწარმოებს ბოტანიკურ ბაღის გვირაბის გაფართოება. ამ ბაღში გაივლის კოჯორის ელექტრო რკინისგზა. კოჯორის ელრკინიგზის სამმართველომ გამოაცხადა კონკურსი გაფართოებულ გვირაბის ფასადის მხატვრულ ხუროთმოძღვრების მხრივ საუკეთესო გაფორმების მიზნით

„სალტე"

სიღნაღის თეატრში 28 აპრილს დაიდგა პ. სამხონიძის პიესა „სალტე". იგივე პიესა იდგმება ქუთაისის და ზუგდიდის თეატრებში.

ოპერის ფილიალები

მომავალი სეზონიდან ოპერა ხსნის ფილიალურ განყოფილებას ბათომში. ბათომი იქნება ფილიალის ძირითადი ბაზა, იქიდან დასი გაიგზავნება სოხუმში და ქუთაისში. ბათომშ ოპერა მუშაობას დაიწყებს დეკემბრიდან.

მუშათა ახალ კლუბებში

საქ. პროფსაბჭომ გადასწყვიტა გააფართოვოს მუშათა საკლუბო მშენებლობა და ამ საქმეს მისცეს მტკიცე გეგმიანობის ხასიათი. ამ მიზნით, პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ამუშავებს მუშათა საკლუბო მშენებლობის 5 წლიან გეგმას.

გეგმის დამტკიცებამდე პროფსაბჭოს დადგენილებით აგებული იქნება ორი დიდი კლუბი, ერთი ტყვარჩელში—ტყვარჩელ მშენის მუშებისათვის და მეორე—ტფილისში ტრანსპორტის მუშებისათვის.

ტყვარჩელმშენის მუშათა კლუბი დაიტევს 1200 კაცს და მისი აგება დაჯდება 500.000 მანეთი.

ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კლუბის ასაგებათ გადადებულია 1 მილიონი მანეთი.

ტრანსპორტელთა კლუბი აგებული იქნება პლეხანოვის პრ. ორჯონიკიძის სახელობის ბაღის გვერდით. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია.

დ. ანდღულაძეს გასტროლები

ამჟამად უკრაინაში იმყოფება ტფილისის ოპერის მომღერალი **დ. ანდღულაძე,** რომელმაც დიდის წარმატებით დაამთავრა გასტროლები ხარკოვში და რამდენიმე გამოსვლაზე მიწვეული იქნა კიევში. დ. ანდღულაძე ხარკოვში გამოდიოდა: „აბესალომ და ეთერში", „კარმენ"-ში, „ტოსკა"-ში, „ჯამბაზებში" და სხვა ოპერებში. ყველა პარტიებს ის მღეროდა ქართულ ენაზე.

ხარკოვის საბჭოთა საზოგადოებრივობა და პრესა დიდის ინტერესით შეხვდა ქართველი მომღერლის გამოსვლას.

დ. ანდღულაძე უკრაინაში გაემგზავრა იქაურ მომღერალ კიპარენკო-დამანსკისთან გაცვლა-გამოცვლის წესით. ტფილისის ოპერის დირექციას განზრახული აქვს მომავალ სეზონიდან მოსპოს გასტროლები და ასეთი გაცვლა-გამოცვლა აწარმოოს რუსეთის თეატრებთანაც. კერძოდ, ლენინგრადიდან მოწვეული იქნება ორი თვით მომღერალი ნ. პეჩკოვსკი და აქედან მის მაგივრად გაემგზავრება დ. ანდღულაძე. სათანადო მოლაპარაკება უკვე სწარმოებს ლენინგრადის ოპერასთან.

საქ. დრამკომში

27 აპრილს შესდგა საქ. დრამკომის გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც სხვადასხვა საკითხების შემდეგ განხილული იქნა საორგანიზაციო საკითხები. გამგეობამ, ამხ. გ. ბუხნიკაშვილის სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო, საქ. დრამკომის პ.-მგ. მდივნად აირჩია ამხ. გ. გუგუნავა, ხოლო ორგმდივნად—ამხ. პ. სამსონიძე.

ამხ. ბუხნიკაშვილი რჩება ამიერ-კავკ. დრამკომის პ.მგ. მდივნად.

ბეჭდვითი სიტყვის მსოფლიო გამოფენა

წელს საბჭოთა კავშირმა მე-14-ჯერ იზეიმა ბოლშევიკური პრესის დღე და მას შეხვდა ნაციონალური ბეჭდვითი სიტყვა 72 ენაზე.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში შეიქმნა 50 ახალი დამწერლობა, ანუ 50 ეროვნებამ გაიჩინა ხაკუთარი ბეჭდვითი სიტყვა.

თვითმპყრობელობის დროს კი 215 წლის განმავლობაში ბეჭდვითი სიტყვა შეიქნა მხოლოდ 22 ენაზე. ჩვენში ხალხების 51 პროც. აქვს თავისი პრესა, ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი—5 პროც.

საბჭოთა კავშირში თუ როგორი განსაკუთრებული მიღწევები გვაქვს ბეჭდვითი სიტყვის დარგში, ამას ნათლად დავინახავთ ეროვნებათა ბეჭდვითი სიტყვის მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც ეწყობა თბილისში.

ამ გამოფენის მხოლოდ ერთ ნაწილში წარმოდგენილი იქნება 190 ენა. ყველა უძველესი ექსპონატი არის 862 წლის. ამ გამოფენის გახსნას დიდი ინტერესით მოელიან არა მარტო საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მშრომელნი, არამედ მით დაინტერესებულია მთელი უცხოეთი.

უკვე ტფილისში მოდის აუარებელი წერილები იმის შესახებ, რომ უცხოეთის სწავლულებს, სპეციალისტებს, ჟურნალისტებს და სხვებს აქვთ სურვილი ინახულონ გამოფენა და თხოულობენ აცნობონ მათ თუ როდის მიეცემათ ამის შესაძლებლობა.

ბეჭდვითი სიტყვის მსოფლიო გამოფენა ექსპონატებში სულ შეადგენს 95.000 ცალს და მათი გამოფენა დაიჭერს 100.000 კვ. მეტრს სივრცეს.

გამოფენისათვის მზადება დამთავრდება მომავალ წლის გაზაფხულზე, ახე რომ ამავე წელს შესაძლებელი იქნება რამდენიმე პავილიონის გახსნა. მთლიანად გამოფენა გაიხსნება 1934 წლის გაზაფხულიდან.

ბეჭვდითი დღის საღამო

5 მაისს, ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში გაიმართა ბეჭდვითი დღის დიდი საღამო. ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობასა და ამოცანების შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. **შ. რადიანმა, დ. ბენაშვილმა და ბ. ჟღენტმა.**

შემდეგ ლექსები წაიკითხეს ირ. აბაშიძემ, ტიციან ტაბიძემ, ალ. გომიაშვილმა, გ. კაჭახიძემ, კ. ბობოხიძემ, სიმ. ჩიქოვანმა ილო მოსაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, შ. შატბერაშვილმა და მუშა - მწერლებმა— სიო ხიდისთაველმა, გ. მაისურაძემ და გ. ტაბატაძემ.

სრულიად საქ. საბჭოთა მწერლების გამომცემლობა

ფედერაცია

(ყოფ. „ქართული წიგნი").

გამოვიდა და იყიდება ყველგან:

1. გ წერეთელი — სრული კრებულის პირველი ტომი.
2. ნ ნიკოლაძე — რჩეული ნაწერების პირველი ტომი.
3. პეტრო პანჩი (უკრაინელი მწერალი) „ცისფერი ეშელონები" რომანი.
4. პროფ. ფრიჩე — ხელოვნების სოციოლოგია. თარგ. გერონტი ქიქოძის.
5. არისტო ჭუმბაძე—„ხუთი ქიმი" მოთხრობები.
6. იონა ვაკელი—„2 პოემა".
7. ზომლეთელი—ნასაკირალი—პოემა.
8. სიმ. ჩიქოვანი - ბედირესპუბლიკა—პოემა.
9. მიხ. ჩიქოვანი—ანეული მოთხრობა.
10. რაჟდენ გვეტაძე - მარულა—ლექს.
11. ბორის ჩხეიძე—დღეები.
12. კონსტ. ლორთქიფანიძე—მუშა გამომგონებელი—პოემა.
13. ეგნ ნინოშვილი—ჯანყი გურიაში.
14. „ „ - პალიასტ. ტბა.
15. „ „ —გოგია უიშვილი.
16. „ „ —სიმონა.
17. შ. რადიანი, გ. ნატროშვილი, კ. მელაძე—ბრძოლა ლენინური ეტაპისათვის ლიტერატ. მეცნიერებაში.
18. რაფიელ ერისთავი—რჩეული—ლექსები.
19. დანიელ ჭონქაძე—სურამის ციხე.

სრულდება ბეჭდვა და გამოვა ახლო მომავალში:

1. ეგნ. ნინოშვილი—სრული კრებულის ტომი 1-ლი აკადემიური გამოცემა.
2. ბესიკი - სრული კრებული—კრიტიკულ-ბიოგრაფიულ ნარკვევის დართ.
3. ნ. ნიკოლაძე—რჩეული — ნაწერების მეორე ტომი.
4. დანიელ ჭონქაძე—სურამის ციხე—აკადემ. გამოცემა—დართული აქვს ფილიპე მახარაძის წინასიტყვაობა „დ. ჭონქაძე და მისი დრო".
5. პროფ. ივ. ჯავახიშვილი საქ ეკონ. ისტორია. წიგნი მეორე.
6. მარქსისტული ქრესტომატია ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. შ. რადიანის რედაქტორობით და წინასიტყვაობით.

სარედაქციო კოლეგია

რ. გვეტაძე, დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედაქტორი), შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, შ. რადიანი, ბ. ჟღენტი, პ. ჩხიკვაძე, ლ. ქიაჩელი.

რედაქცია მოთავსებულია ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი 1-65.

გამომცემლობა „ფედერაცია"

ბეჭდვითი სიტყვ. ნაწარმოებთა გამავრცელებელი სრულიად საკავშირო გაერთიანება

„სოიუზპეჩატი"-ს

ა.-კ. სამხარეო განყოფილება.

აწარმოებს ყოველგვარ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გავრცელებას ხელის მოწერით და საცალო ვაჭრობით. აქვს ხელშეკრულებები ს. ს. ს. რ ის ყველა პერიოდულ და არა პერიოდულ ლიტერატ. გამომცემლობებთან. ღებულობს მეცნიერების ყველა დარგის ლიტერატურის ახალ გამოცემებს. აქვს საბაზისო საწყობი თბილისში. ფილიალები ბაქო და ერევანში. 76 სავაჭრო განყოფილება ა/კ რესპუბლიკაში 285 სავაჭრო წერტით. ხელის მოწერას ყოველგვარ პერიოდულ გამოცემებზე აწარმოებს ფ/ტ. დაწესებულების წერილების და გაზეთების დამტარებლების და სპეციალურად გამოყოფილ პირების საშუალებით.

დირექცია: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 43, ა/კ. კავშირგაბმულობის სამმართველოს შენობა, ტელეფონი 23—98.

„სოიუზპეჩატი"-ს დირექტორის მოადგილე ბ. ხაბაზიშვილი.

ტირაჟი 4000

სტამბა „კომუნისტი", ქაშის ქ. № 68.

მთავლიტი № 1048